სს ზირაათ ბანკი საქართველოს პილარ 3-ის წლიური ანგარიში

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შესავალი

აღნიშნული დოკუმენტი ეფუძნება ბაზელის საბანკო ზედამხედველობის კომიტეტის პილარ 3-ის გამჭვირვალობის და ევროკავშირის N 575/2013 დირექტივის მოთხოვნებს, რომლის შესაბამისი ინსტრუქციები შემუშავებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ „კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის დამტკიცების თაობაზე“. აღნიშნული მოთხოვნები წარმოდგენილია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 22 ივნისის ბრძანებაში.

მენეჯმენტის განცხადება

ბანკის დირექტორატი ადასტურებს მოცემულ პილარ 3-ის ანგარიშგებაში ასახული ყველა მონაცემისა და ინფორმაციის უტყუარობასა და სიზუსტეს. ანგარიშგება მომზადებულია სს ‘ზირაათ ბანკი საქართველო“-ს სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებული შიდა კონტროლის პროცესების სრული დაცვით, წინამდებარე ანგარიშგება აკმაყოფილებს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის აპრილის N92/04 ბრძანებით დამტკიცებული "კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის" მოთხოვნებსა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ სხვა წესებსა და ნორმებს.

ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს ქვემოთ მოცემულ ცხრილში მითითებული ფაილები/მისამართები:

დოკუმენტის დასახელება	*მისამართი*
*სს „ზირაათ ბანკი საქართველოს“ **2025** წლის აუდიტის დასკვნა*	*ფინანსური ანგარიშგება **31.12.2025**-ის მდგომარეობით*
სს „ზირაათ ბანკი საქართველოს“ ვებ გვერდი	***http://www.ziraatbank.ge/***
მენეჯმენტის და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების განათლება და გამოცდილების ფაილი	ADM-ადმინისტრატორები

სს „ზირაათ ბანკი საქართველო“

ზირაათ ბანკს, რომელიც არის თურქეთის საბანკო სექტორის ფუძემდებელი და ქვეყნის ეკონომიკის მამოძრავებელი ძალა, უკვე 150 წელიწადზე მეტია აქვს გზამკვლევისა და ცვლილებების ლიდერის რეპუტაცია. დედა ბანკი - თურქეთის ზირაათ ბანკი, ოფიციალურად დაარსდა 1863 წლის 20 ნოემბერს, როგორც თანამედროვე ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც შეუდგა ''საადგილ-მამულო ფონდების'' ფუნქციის განხორციელებას და ბანკის ფილიალების მეშვეობით დაიწყო ოპერირება. ''საადგილ-მამულო ფონდების'' საკუთრებაში მანამდე არსებული აქციები გადაეცა ბანკს, ხოლო შემდგომში გაცემული აქციების განთავსებაც მოხდა ასევე ბანკის კაპიტალში. ბანკმა, მისი მმართველობის სისტემის წყალობით, მკაფიოდ ჩამოყალიბებული მყარი პრინციპების საფუძველზე და მისი გამოცდილი და კვალიფიციური თანამშრომლების მეშვეობით ყველა ეტაპზე შეძლო მის წინაშე არსებული სირთულეების დაძლევა. ზირაათ ბანკმა გააფართოვა მისი მომსახურება, რათა გამხდარიყო ''ყველა ჩვენთაგანის ბანკი'' და დღემდე მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის განვითარებაში. ზირაათ ბანკი არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და უძველესი ბანკი თურქეთში, რომლის კაპიტალის 100% თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფოს საკუთრებაა. მან მოიპოვა წამყვანი ბანკის სტატუსი, რომელმაც ძალიან დიდ წარმატებას მიაღწია საუკუნის განმავლობაში დაგროვებული ცოდნით და მისი მომსახურების ხარისხისა და ცოდნის საფუძველზე შექმნა დამატებითი ღირებულება საზოგადოებისთვის.

სს ზირაათ ბანკის თბილისის ფილიალი დაფუძნდა 1998 წელს, 2017 წლის 01 მაისიდან ოპერირება განაგრძო როგორც შვილობილმა ბანკმა სს „ზირაათ ბანკი საქართველო“. გაიხსნა ახალი სერვის-ცენტრები; 2013 წელს შეემატა ბათუმის სერვის-ცენტრი, 2016 წელს მარნეულის სერვის-ცენტრი, 2019 წელს ქუთაისის სერვის-ცენტრი, ხოლო 2020 წელს ვარკეთილის და გლდანის სერვის-ცენტრები.

მისია, ხედვა და მიზნები

სს ''ზირაათ ბანკი საქართველო''-ს ხედვაა, იყოს ბანკი, რომელიც არის სანდო და ხელმისაწვდომი როგორც საქართველოში, ასევე მთელს მსოფლიოში, რომელიც თითოეულ მომხმარებელს სთავაზობს ხარისხიან მომსახურებას, რომლისთვისაც მომხმარებელი და ადამიანური რესურსები წარმოადგენს ყველაზე ღირებულ აქტივს. ორგანიზაცია, რომელიც თავისი ძირძველი და მდიდარი ისტორიის გათვალისწინებით, მუდმივად ქმნის განსხვავებულ ფასეულობას და ამავე დროს კონკურენტებისათვის სამაგალითო ბანკია. ზირაათ ბანკის მიზანია იყოს ბანკი, რომელსაც ყველაზე კარგად ესმის კლიენტის მოთხოვნა და ცდილობს გაამართლოს მისი მოლოდინი, საუკეთესო გამოსავალისა და ღირებული რეკომენდაციების შეთავაზებით. ბანკი, რომელიც ფილიალების ფართო ქსელისა და ალტერნატიული არხების მეშვეობით, საზოგადოების ყველა სეგმენტს სთავაზობს ყველაზე სწრაფი და ეფექტური გზით პროდუქციისა და მომსახურების ფართო სპექტრს. ბანკი,

რომელიც ეთიკური ფასეულობებისა და სოციალური პასუხისმგებლობის თვითშეგნებით წარმატებულ და ნაყოფიერ მუშაობას წარმართავს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და რომლის ყველაზე მთავარი პრიორიტეტი კლიენტის მოლოდინის გამართლებაა.

მშობელი ბანკის ხედვისა და მისიის გათვალისწინებით, ბანკის ხედვაა იყოს უნივერსალური, მაღალი საბაზრო ღირებულების მქონე ბანკი, რომელიც უზრუნველყოფს საიმედო მომსახურებას და აკმაყოფილებს სტრატეგიული სექტორის საჭიროებებს, იყოს ბანკი, რომელიც მომსახურების ყველა ეტაპზე უფრო მეტად ამართლებს მოლოდინს და ამავდროულად კონკურენტებისთვის არის სამაგალითო და მისაბაძი ბანკი. ბანკის მიზანია საოპერაციო და კაპიტალური დანახარჯების ამოღება და ჯანსაღი ფინანსური კოეფიციენტების შენარჩუნება.

რისკის მართვის სტრატეგიის ფარგლებში აქტივების ფორმირებისას, ბანკი შეეცდება შეინარჩუნოს ლიკვიდურობის საკმარისი დონე, მართოს აქტივები და ვალდებულებები, უზრუნველყოფს დივერსიფიკაციის დონე ინდუსტრიის და კლიენტების მოთხოვნების შესაბამისსად. უპირველეს ყოვლისა, ბანკი ხელსაყრელი ფინანსური მომსახურების შეთავაზების გზით, გაიმყარებს ბაზარზე არსებულ პოზიციას და კონკურენციას გაუწევს საქართველოში არსებულ სხვა ბანკებს. ახალი კლიენტების სახსრების მოზიდვის გზით, ბანკი გაზრდის მატერიალურ ბაზასაც, საპროცენტო განაკვეთსა და ვადიან დეპოზიტებზე მრავალფეროვანი არჩევანის შეთავაზება, ხელს შეუწყობს ფიზიკური და იურიდიული პირების ანგარიშებზე თანხების ზრდის სტიმულირებას.

ბანკი მონაწილეობას მიიღებს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა და ქსელის ეფექტურობის განვითარებაში, რითაც გააძლიერებს თავის პოზიციას საქართველოს ფინანსურ ბაზარზე.

ბანკი მიზნად ისახავს მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესებას, თითოეულ კლიენტთან ინდივიდუალური მიდგომითა და სტანდარტული ტექნოლოგიების შერწყმით. ამგვარი სუბიექტური მიდგომა თითოეული მომხმარებლის მიმართ წარმოქმნის სტაბილურობის განცდას, რაც არის საწინდარი უაღრესად ერთგულ მომხმარებელთა ბაზის ჩამოყალიბებისა. ბანკი მიზნად ისახავს კიდევ უფრო გააფართოვოს მომხმარებელთა ბაზა, შესთავაზოს მათ პროდუქტების გაუმჯობესებული ასორტიმენტი და უზრუნველყოს მათთან გრძელვადიანი თანამშრომლობა.

სტრატეგია, სტრატეგიული მიზნები

ქართულ ბაზარზე ეფექტურად მუშაობის თვალსაზრისით, ბანკი თავის მომხმარებელს სთავაზობს პროდუქციისა და მომსახურების ფართო სპექტრს, იმისათვის, რომ იყოს უფრო მოქნილი და ეფექტურად უპასუხოს კლიენტთა მრავალფეროვან მოთხოვნებს და ამავდროულად გაითვალისწინოს მათი კონკრეტული ფინანსური რისკი. მაგალითად, სესხები მორგებულია კლიენტთა კონკრეტულ ფინანსურ მოთხოვნებზე, მათ შორის პროექტებზე, სავაჭრო ოპერაციებსა და კორპორატიულ ტრანზაქციებზე. აქედან გამომდინარე,

ზემოთაღნიშნული მიზნების გათვალისწინებით, ბანკს ჩამოყალიბებული აქვს სტრატეგიული მიზნები მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში, რომელიც ძირითადად ორიენტირებულია აქტივების ხარისხზე, ახალი პროდუქტების განვითარებაზე, კარგი საკრედიტო რეიტინგის მოპოვებაზე, კაპიტალის რესურსების გააქტიურებაზე, სწორი და ეფექტური რისკის მართვასა და რა თქმა უნდა საერთაშორისო რეგულაციებისა და საქართველოს ეროვნული ბანკის AML და KYC სტანდარტების გამოყენებაზე.

მომდევნო 5 წლის განმავლობაში ბანკი მიზნად ისახავს სწრაფი და სტაბილური ზრდის მიღწევას, რომელიც ძირითადად გამოხატული იქნება საკრედიტო პორტფელის გაზრდითა და ქსელის გაფართოებით, მხედველობაში მიღებული იქნება ზრდასთან დაკავშირებული რისკები

ბანკის სტრატეგიული მიზნები მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში ძირითადად ფოკუსირდება მაღალი ხარისხის აქტივებზე, ახალი პროდუქტებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, ადამიანური რესურსებისა და ტექნიკური შესაძლებლობების გაძლიერებაზე, გონივრული საბანკო პრაქტიკის დაცვასა და რისკის მართვის პერსპექტივების გაძლიერებაზე.

ეკონომიკაში კრიზისის შედეგად გამოწვეული დანაკარგების თავიდან აცილების მიზნით, ბანკი ინვესტირებას განახორციელებს სხვადასხვა სექტორსა და მრეწველობაში, ამიტომ დივერსიფიცირებული სექტორის დაფინანსება, ბანკს საშუალებას მისცემს მიიღოს მაქსიმალური მოგება მინიმალური შესაძლო დანაკარგით. აგრეთვე თურქეთთან და სხვა ქვეყნებთან იმპორტ/ექსპორტის მონაცემების გათვალისწინებით, ბანკი დააფინანსებს სხვადასხვა იმპორტიორ ან ექსპორტიორ კლიენტებს მათი ფინანსური მდგომარეობისა და განცხადების სათანადო ანალიზის საფუძველზე.

შემდგომი სტრატეგიული მიზანი წარმოადგენს ქართული ფინანსური ბაზრისათვის შესაბამისი ახალი პროდუქტების განვითარებას. ამჟამად ბაზარზე საკმაოდ მცირე ფინანსური ინსტრუმენტები არის ხელმისაწვდომი, მაგრამ ფორვარდებისა და სვოპის განვითარებით, ბანკი საშუალებას მისცემს კლიენტებს განათავსონ თავიანთი სახსრები ან გამოიყენონ მრავალფეროვანი პროდუქტები და მიიღონ მაღალი შემოსავალი ნაკლები რისკის ფასად. აქედან გამომდინარე, მრავალმხრივი პროდუქტების შეთავაზებით, ბანკი თავად უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი საბაზრო წილის მოპოვებას.

ბანკს სჭირდება სათანადო ტექნიკური ბაზა, რათა დივერსიფიცირებული პროდუქტი არა მარტო შესთავაზოს მომხმარებელს, არამედ შეინარჩუნოს მისი ფინანსური მდგომარეობა და მოამზადოს ანგარიშგება, რომელიც საშუალებას მისცემს მენეჯმენტს შეისწავლოს ოპერაციული და ფინანსური ინვესტიციების ხარისხი. ამისათვის, ბანკი აგრძელებს ინვესტიციას მისი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის განვითარებაში, რათა შეინარჩუნოს მონაცემთა ბაზის უსაფრთხოება ეფექტური ინტეგრირებული სისტემის უზრუნველსაყოფად.

გარდა ამისა, ბანკი მიზნად ისახავს გახსნას სერვის-ცენტრები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, რათა გააფართოვოს მომსახურების ქსელი და მოიპოვოს მნიშვნელოვანი საბაზრო წილი.

სს „ზირაათ ბანკი საქართველოს“ ფინანსური მაჩვენებლები.

2025 წლის 31 დეკემბრის აუდიტის დასკვნის მიხედვით, ბანკის ფინანსური მონაცემები შემდეგია: სს ზირაათ ბანკი საქართველოს მთლიანი აქტივები 2024 წლის ბოლოსთვის შეადგენდა 255,854,812 ლარს, ხოლო 2025 წლის ბოლოსთვის 401,344,285 ლარს, ასევე ვალდებულებები კლიენტების მიმართ 2024 წელს შეადგენდა 174,295,288 ლარს, ხოლო 2025 წელს შეადგენს 312,851,958 ლარს. ბანკი ინარჩუნებს სტაბილური ზრდის ტემპს.

ბანკის ფინ. მაჩვენებლების ცხრილი იხ.ქვევით:

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები *	2025	2024
მთლიანი სესხები/ მთლიან აქტივებთან	60.38%	63.48%
მთლიანი სესხები/ დეპოზიტებთან	133.06%	120.11%
უმოქმედო სესხები/ მთლიან სესხებთან	5.63%	3.57%
ლიკვიდური აქტივები/ მთლიან აქტივებთან	36.45%	29.33%
უკუგება საშუალო აქტივებზე (ROA)	2.23%	2.18%
უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE)	8.35%	6.16%
წმინდა საპროცენტო მარჟა	5.37%	6.28%
მთლიანი საპროცენტო შემოსავლები /მთლიანი საპროცენტო ხარჯთან	8.21%	8.46%
საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი (≥ 12.64 %)	21.70%	29.50%
ლიკვიდობის კოეფიციენტი	144.39%	128.46%

*შენიშვნა: * ბანკის ფინანსური მაჩვენებლები წარმოდგენილია პილარ 3-ის ანგარიშგების მიხედვით, აუდიტირებულ მონაცემზე დაყრდნობით.*

ბანკის ჯგუფის სტრუქტურა:

სს თურქეთის ქონების მართვის ფონდი

- სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული ინსტიტუტი (100% სახელმწიფოს კუთვნილება).

თურქეთის რესპუბლიკის სს ზირაათ ბანკი

- 100% ეკუთვნის სს თურქეთის ქონების მართვის ფონდს

სს ზირაათ ბანკი საქართველო

- 100% ეკუთვნის თურქეთის რესპუბლიკის სს ზირაათ ბანკს

დამფუძნებელი	კუთვნილი წილი %	სათაო ოფისის მისამართი	საქმიანობის სფერო
თურქეთის რესპუბლიკის სს ზირაათ ბანკი	**100%**	ფინანსქენთის უბანი, ფინანსის გამზირი 44/ა უმრანიე/ სტამბოლი	საბანკო საქმიანობა Banking Activity ID: 475225-5 რეგისტრაციის თარიღი: 12/06/1937

2017 წლის სექტემბრიდან თურქეთის რესპუბლიკის სს ზირაათ ბანკის 100% წილის მფლობელია თურქეთის ქონების მართვის ფონდი, რომელიც ასევე 100% სახელმწიფოს კუთვნილება და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული ინსტიტუტია. თურქეთის ქონების მართვის ფონდის შექმნის მიზანია განავითაროს და გაზარდოს თურქეთის სტრატეგიული ობიექტების ღირებულება და შესაბამისად, უზრუნველყოს თურქეთის საინვესტიციო ბაზარზე რესურსების მოზიდვა (https://www.tvf.com.tr/)

დამფუძნებელი	%	მისამართი	საქმიანობის სფერო	აქციონერი	სამეთვალყურეო საბჭო
სს თურქეთის ქონების მართვის ფონდი	**100%**	სტამბოლი Tel:+90 212 371 2200	ქონების ფონდის მართვა	სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული ინსტიტუტი (სახელმწიფოს კუთვნილება)	**რეჯეფ თაიფ ერდოღან- თავმჯდომარე** **პროფ.დოქტ. ერიშაჰ არიჯან- სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე** **ალფასლან ჩაქარ- წევრი** **ბურაქ დაღლიოღლუ - წევრი** **ფუათ თოსიალი- წევრი** **მუსტაფა რიფათ ჰისარჯიქლიოღლუ - წევრი** **სალიმ არდა ერმუთ- გენერალური დირექტორი და წევრი** https://www.tvf.com.tr/biz-kimiz/yonetim/yonetim-kurulu

სს ზირაათ ბანკი საქართველოს აქციონერთა კრებას წარმოადგენს თურქეთის რესპუბლიკის სს ზირაათ ბანკის სამეთვალყურეო საბჭო.

თურქეთის რესპუბლიკის სს ზირაათ ბანკის სამეთვალყურეო საბჭო

სახელი, გვარი	**თანამდებობა**
აბდულლაჰ ერდემ ჯანთიმურ	სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
ვეისი ქაინაქ	სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
ალფასლან ჩაქარ	სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, თურქეთის რესპუბლიკის სს ზირაათ ბანკის გენერალური დირექტორი
ფათიჰ აიდოღან	სამეთვალყურეო საბჭოს წევრი
ფეიზი ჩუთურ	სამეთვალყურეო საბჭოს წევრი
პროფ.დოქტ. ნეჯდეთ ბუდაქ	სამეთვალყურეო საბჭოს წევრი
სერრუჰ ქალელი	სამეთვალყურეო საბჭოს წევრი
ფაზლი ქილიჩი	სამეთვალყურეო საბჭოს წევრი
სერდარ ქილიჩი	სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

თურქეთის რესპუბლიკის სს ზირაათ ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია საიტზე: *https://www.ziraatbank.com.tr/en/our-bank/about-us/board-of-directors*

სს ზირაათ ბანკი საქართველო-ს აქციონერებთან დაკავშირებული საკითხები

ბანკის აქციონერს უფლება აქვს:

- მიიღოს სრული და დროული ინფორმაცია საერთო კრების ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის შესახებ, აგრეთვე საკმარისი ინფორმაცია კრებაზე განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით;
- მოსთხოვოს განმარტება დირექტორებს ან სამეთვალყურეო საბჭოს საერთო კრებაზე დღის წესრიგის თითოეულ პუნქტზე; ასევე მოითხოვოს ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია, რაც გონივრულად აუცილებელია ამა თუ იმ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად. თუ მოთხოვნა განმარტების შესახებ წერილობით იქნა დაყენებული საერთო კრებამდე ათი დღით ადრე, ის უნდა შესრულდეს ან განხილულ იქნას დღის წესრიგის ერთ-ერთ საკითხად;
- მიიღოს მონაწილეობა პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით აქციონერთა საერთო კრების მუშაობაში, გამოთქვას აზრი განსახილველ საკითხებზე, დასვას შეკითხვები და წამოაყენოს წინადადებები;
- მიიღოს მონაწილეობა ბანკის მართვაში აქციონერთა საერთო კრებაზე მონაწილეობის მიღების გზით;
- შეიძინოს ან/და გაასხვისოს აქციები; მიიღოს დივიდენდები აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე;
- მოსთხოვოს განმარტება დირექტორებს ან სამეთვალყურეო საბჭოს საერთო კრებაზე დღის წესრიგის თითოეულ პუნქტზე;
- გაასაჩივროს საერთო კრების გადაწყვეტილება (კრების ოქმის შედგენიდან ორი თვის განმავლობაში);
- გაეცნოს ბანკის წლიურ, ნახევარწლიურ და მიმდინარე ანგარიშებს, ასევე ინფორმაციებს მნიშვნელოვანი შენაძენისა და ბანკის მმართველი ორგანოს ბენეფიციურ საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდების შესახებ;
- მმართველი ორგანოს წევრებისაგან მიიღოს ზეპირი ან წერილობითი ახსნა-განმარტება ბანკის მმართველი ორგანოების გასული, მიმდინარე და სამიზნე საქმიანობის, მნიშვნელოვანი აქტივების შეძენისა და გასხვისების, ასევე მისთვის საინტერესო სხვა საკითხებზე. უარი ინფორმაციის ან ახსნა-განმარტების მიცემაზე შეიძლება ეთქვას მხოლოდ იმ მოტივით, რომ ეს საზიანოა ბანკის კომერციული ინტერესებისთვის, რაც შესაბამისად უნდა იყოს დასაბუთებული;

- ბანკის ნაცვლად და მის სასარგებლოდ თავისი სახელით შეიტანოს სარჩელი მესამე პირის მიმართ ბანკის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, თუ ბანკმა არ განახორციელა თავისი მოთხოვნა. აღნიშნული უფლებამოსილება უნდა განხორციელდეს მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ბანკის აქციათა ხუთი ან მეტი პროცენტის მფლობელ აქციონერს ასევე უფლება აქვს:

- მოითხოვოს სამეურნეო მოქმედებების ან მთლიანად წლიური ბალანსის სპეციალური შემოწმება; საერთო კრების მიერ ამ მოთხოვნის დაუკმაყოფლობის შემთხვევაში, ანალოგიური მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს. შემოწმებას ახორციელებს აქციონერის მიერ შერჩეული შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილების მქონე სპეციალისტი. დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში სპეციალურ შემოწმებასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს ბანკი;
- მოითხოვოს, ბანკის ინტერესების შესაბამისად, რიგგარეშე კრების ჩატარება. მოთხოვნა წერილობით უნდა იყოს დასაბუთებული. თუ ბანკის დირექტორები, მოთხოვნიდან ოცი დღის განმავლობაში, არ მოიწვევენ კრებას, აქციონერს შეუძლია ამ მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს;
- მოითხოვოს კრების დღის წესრიგში საკითხის შეტანა; აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მოითხოვოს აგრეთვე, დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს ინფორმაცია და ანგარიში;
- მმართველობის ორგანოსგან მოითხოვონ საზოგადოების სახელით დადებული გარიგების ასლი ან/და ინფორმაცია დასადები გარიგეგების შესახებ.
- აქციონერს არა აქვს უფლება ხმა მისცეს იმ შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილება ეხება მასთან გარიგების დადებას ან მისი ანგარიშის დამტკიცებას.
- თუ აქციონერს მიაჩნია, რომ რაიმე მიზეზის გამო ირღვევა მისი, როგორც აქციონერის უფლება, ის უფლებამოსილია განცხადებით მიმართოს სამეთვალყურეო საბჭოს. სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია მიიღოს ზომები დარღვევის აღმოსაფხვრელად ან წერილობით მიაწოდოს აქციონერს დასაბუთებული პასუხი მის განცხადებაზე.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა ბანკის აქციონერებს აქვთ მოქმედი კანონმდებლობით მინიჭებული და ბანკის შიდა ნორმატიული აქტებით გასაზღვრული სხვა უფლებები.

ჩვეულებრივ აქციონერები თავიანთ უფლებებს (ხმის უფლება, ინფორმაციის მიღების უფლება, რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის უფლება) ახორციელებენ საერთო კრებაზე.

საერთო კრება

- აქციონერთა საერთო კრება შეიძლება იყოს მორიგი და რიგგარეშე. მორიგი კრება მოიწვევა წლიური ბალანსის შედგენიდან ორი თვის ვადაში. რიგგარეშე კრების მოწვევაზე გადაწყვეტილებას იღებს ბანკის სამეთვალყურეო საბჭო. კრების

მოწვევასთან დაკავშირებულ პროცედურებს ახორციელებენ დირექტორები. მორიგ კრებაზე განიხილება წლიური შედეგები (წლიური ანგარიში, სამეურნეო მდგომარეობის ანგარიში და წინადადება მოგების განაწილებაზე), ასევე დღის წესრიგის სხვა შესაძლო საკითხები. მორიგი კრების მოწვევის მოთხოვნის უფლება აქვს დირექტორთა საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს.

- რიგგარეშე საერთო კრება ტარდება დირექტორების, სამეთვალყურეო საბჭოს უმრავლესობის, ან საწესდებო კაპიტალის 5 პროცენტის მფლობელ აქციონერთა მოთხოვნით. რიგგარეშე საერთო კრების ჩატარების მოთხოვნა უნდა შეიცავდეს გადასაწყვეტი საკითხის ან საკითხების ფორმულირებას, მომთხოვნის შეხედულებისამებრ, ამ საკითხის სავარაუდო გადაწყვეტის ფორმულირებასაც და, აქციონერთა შემთხვევაში, მოთხოვნის წერილობით დასაბუთებას.
- დირექტორებს არა აქვთ უფლება, უარი თქვან რიგგარეშე კრების მოწვევაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დარღვეულია მოთხოვნით მიმართვის პროცედურა, ან აქციონერებს არ გააჩნიათ კრების ჩატარების მოთხოვნისთვის საჭირო ოდენობის ხმები.
- საერთო კრება მოიწვევა ბანკის იურიდიულ მისამართზე ან საქართველოს ნებისმიერ ტერიტორიაზე ოცი დღის ვადაში ბეჭდით ორგანოში გამოცხადებით ან აქციონერებისათვის მოსაწვევის გაგზავნით 20 დღით ადრე. საერთო კრების მოწვევა შესაძლებელია აქციონერებისათვის მისაღები სხვა ფორმითაც.
- საერთო კრების მოსაწვევში მითითებული უნდა იყოს კრების დღის წესრიგი. ბანკის აქციების არანაკლებ 1%-ის პროცენტის მფლობელებს და (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით), 1%-ზე ნაკლები წილის მფლობელებს მოსაწვევი ეგზავნებათ დაზღვეული წერილით.
- სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს საერთო კრების სააღრიცხვო დღეს, რომელიც არ შეიძლება იყოს კრების მოწვევამდე 45 დღეზე ადრე და კრების მოწვევის გამოცხადების თარიღზე გვიან. საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებსაც აქციაზე საკუთრების უფლება ჰქონდათ სააღრიცხვო დღისთვის.
- საერთო კრების მოწვევის შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
    - საერთო კრების მოწვევის თარიღი, დრო და ადგილი;
    - კრებაზე აქციონერთა რეგისტრაციის დაწყების დრო;
    - სააღრიცხვო დღის თარიღი;
    - მითითება კრება მორიგია თუ რიგგარეშე;
    - დღის წესრიგი;
    - დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციები გადაწყვეტილების მისაღებად;
    - იმ პროცედურის აღწერა, რომლის მიხედვითაც კრების ჩატარებამდე ათი დღის განმავლობაში აქციონერს შეუძლია შეამოწმოს კრებაში თავისი მონაწილეობის უფლება;
    - კრების დღის წესრიგთან დაკავშირებული მასალებისა თუ დოკუმენტების გაცნობის შესაძლებლობასა და წესს;

- თუ საერთო კრებაზე უნდა მოხდეს სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა, ასევე მონაცემებს კანდიდატების შესახებ.
- საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ან წარმოდგენილია ხმის უფლების მქონე საწესდებო კაპიტალის 50%-ის მფლობელი მაინც. თუ კრება არ არის გადაწვეტილებაუნარიანი, მაშინ თავმჯდომარის მიერ კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში და იმავე დღის წესრიგით, მოიწვევა ახალი კრება, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია თუ მას ესწრება ან წარმოდგენილია ხმის უფლების მქონე კაპიტალის არანაკლებ 25%-ის მფლობელისა. თუ კრება კვლავ არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ თავმჯდომარის მიერ კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში იგივე დღის წესრიგით, მოიწვევა ახალი კრება, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია გამოცხადებული ან წარმოდგენილი ხმის უფლების მქონე კაპიტალის მფლობელთა რაოდენობის მიუხედავად.

- საერთო კრების მუშაობას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნისას - მოადგილე, მოადგილის არყოფნისას კი ერთ-ერთი დირექტორი. მათი არყოფნისას კრების თავმჯდომარეს ხმათა უბრალო უმრავლესობით ირჩევს საერთო კრება.
- აქციონერი საერთო კრების მუშაობაში მონაწილეობას იღებს პირადობის მოწმობისა და კრებაზე წარმოდგენილი აქციათა რეესტრის მონაცემების საფუძველზე. დასაშვებია წარმომადგენლობა წერილობითი მინდობილობის საფუძველზე.
- კრებაზე დასწრების უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტებს და მანდატებს ბანკი ინახავს კრების ოქმის შედგენიდან, სულ ცოტა, ორი თვის განმავლობაში (კრების შედეგების გასაჩივრებისას, დავის საბოლოო გადაწყვეტამდე).
- საერთო კრების მიმდინარეობისა და გადაწყვეტილებების შესახებ დგება ოქმი ქართულ ან/და თურქულ ან/და ინგლისურ ენებზე და ხელმოწერილ უნდა იქნას კრების თავმჯდომარის მიერ.

საერთო კრება უფლებამოსილია:

- შეცვალოს წესდება, გაზარდოს ან შეამციროს საწესდებო კაპიტალი და გადაწყვიტოს მისი ლიკვიდაციის საკითხი;
- მიიღოს გადაწყვეტილება შერწყმის, გაყოფის ან რეორგანიზაციის შესახებ;
- მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს აქციონერის მიერ აქციების უპირატესი შესყიდვის უფლება საწესდებო კაპიტალის მომატების დროს, ასევე აქციებში კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვების დროს;
- მიიღოს ან უარყოს სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორების წინადადება მოგების გამოყენების შესახებ ან, როცა ეს ორგანოები ვერ იძლევიან ერთიან წინადადებას, მიიღოს გადაწყვეტილება წმინდა მოგების გამოყენების შესახებ;
- აირჩიოს აქციონერთა წარმომადგენლობა სამეთვალყურეო საბჭოში ან გამოიწვიოს ისინი სამეთვალყურეო საბჭოდან ნებისმიერ დროს მათი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე;
- აამტკიცოს სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორების ანგარიში;

- გადაწყვიტოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურების საკითხი;
- აირჩიოს აუდიტორი;
- მიიღოს გადაწყვეტილებები სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორების წინააღმდეგ სასამართლოს პროცესში მონაწილეობის შესახებ, ამ პროცესისათვის წარმომადგენლის დანიშვნის ჩათვლით;
- მიიღოს გადაწყვეტილებები საზოგადოების აქტივების შეძენის, გასხვისების გაცვლის (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების), რომელთა ღირებულებაც შეადგენს საზოგადოების აქტივების საბალანსო ღირებულების 50%-ზე მეტს, გარდა ისეთი გარიგებებისა, რომლებიც წარმოადგენს ჩვეულ საწარმოო საქმიანობას;
- მიიღოს გადაწყვეტილებები საქართველოს კანონმდებლობით ან/და ამ წესდებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

- აქციონერთა საერთო კრებაზე შესაძლებელია განხილულ იქნას ასევე ბანკისათვის მნიშვნელოვანი სხვა საკითხებიც.
- საერთო კრებაზე გადაწყვეტილებების მისაღებად საჭიროა დამსწრე ხმის უფლების მქონე აქციონერთა ხმების 50%-ზე მეტის თანხმობა, გარდა წესდების შესაბამისი მუხლის მიხედვით გათვალისწინებული გადაწყვეტილებებისა, რომელთა მისაღებად საჭიროა დამსწრე ხმის უფლების მქონე აქციონერთა ხმების 75%-ზე მეტის თანხმობა.
- საერთო კრების მოწვევა არ არის აუცილებელი, თუ ხმების 75%-ზე მეტის მფლობელი ერთი აქციონერი მიიღებს გადაწყვეტილებას განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. ეს გადაწყვეტილება კრების ოქმის ტოლფასია და ითვლება კრების გადაწყვეტილებად. გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნას მაჟორიტარი აქციონერის იმ ორგანოს მიერ, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს ასეთი გადაწყვეტილება მაჟორიტარი აქციონერის სადამფუძნებლო დოკუმენტებისა და მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისად. დანარჩენ აქციონერებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ეგზავნებათ შეტყობინება მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

2025 წლის აქციონერთა წლიური კრების დღის წესრიგი:

- სამეთვალყურეო საბჭოს წევრის არჩევა
- დამოუკიდებელი გარე აუდიტის დასკვნის განხილვა;
- 2024 წლის ბანკის ფინანსური უწყისების და ღონისძიებათა ნუსხის განხილვა;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მუშაობის შეფასება;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურების განსაზღვრა;
- სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრის არჩევა
- გასული წლების მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

კორპორაციული მართვა

ბანკის ხელმძღვანელი ორგანოებია: ბანკის აქციონერთა საერთო კრება („საერთო კრება“), სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორთა საბჭო.

სამეთვალყურეო საბჭო

სს ზირაათ ბანკი საქართველო-ს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არიან:

სახელი, გვარი	თანამდებობა
იუქსელ ჯესურ	სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
იუსუფ ჰერდან	სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
ომერ ვანლი	სამეთვალყურეო საბჭოს წევრი
ნინო ქურდიანი	სამეთვალყურეო საბჭოს წევრი
ქეთევან ტყავაძე	სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

- სამეთვალყურეო საბჭო უზრუნველყოფს ზედამხედველობას ბანკის საქმიანობაზე. იგი შედგება სულ მცირე სამი და არაუმეტეს ოცდაერთი წევრისაგან, ამასთან, წევრთა რაოდენობა ყოველთვის კენტი უნდა იყოს.
- სამეთვალყურეო საბჭოს ყოველ წევრს აქციონერთა საერთო კრება ირჩევს ოთხი წლის ვადით, მაგრამ უფლებამოსილება შეიძლება გაგრძელდეს ამ ვადის გასვლის შემდეგ მორიგი საერთო კრების მოწვევამდე. მათი განმეორებითი არჩევა შეუზღუდავია ან ისინი შეიძლება გათავისუფლდნენ ნებისმიერ დროს მათი უფლებამოსილების ვადის დასრულებამდე.
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არჩევისას აქციონერთა საერთო კრებას უნდა წარედგინოს შემდეგი ინფორმაცია:
  - იმ აქციონერთა ვინაობა, ვინც წამოაყენა მოცემული კანდიდატურა;
  - კანდიდატის ბიოგრაფიული მონაცემები;
  - კანდიდატის ურთიერთობა ბანკსა და მის მსხვილ კლიენტებთან;
  - ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რამაც შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს კანდიდატის მიერ თავისი მოვალეობების შესრულებაზე.
- სამეთვალყურეო საბჭოს ყოველ წევრს შეუძლია ნებისმიერ დროს გადადგეს. ვადამდე გადარჩევა შესაძლებელია საერთო კრების მიერ ნებისმიერ დროს. საარჩევნო ვადის გასვლამდე სამეთვალყურეო საბჭოდან წევრის გასვლის ან საერთო კრების მიერ მისი გათავისუფლების შემთხვევაში, უნდა ჩატარდეს დამატებითი არჩევნები, წევრის გასვლიდან/გათავისუფლებიდან არაუგვიანეს ექვსი თვისა. ახალი წევრის უფლებამოსილება ძალაშია გასული წევრის საარჩევნო ვადის გასვლამდე. სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრის არჩევამდე, გადაწყვეტილების მისაღებად

საჭირო ქვორუმი გაანგარიშებული უნდა იქნას დარჩენილი წევრების რაოდენობის შესაბამისად.

- სამეთვალყურეო საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და მის მოადგილეს.
- საბჭოს სხდომებს იწვევს და დღის წესრიგს განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. სხდომა შეიძლება მოწვეული იქნას ასევე საბჭოს წევრის, დირექტორის და საწესდებო კაპიტალში 5 %-ის მფობელი აქციონერის მოთხოვნით. როგორც წესი მოწვევა კეთდება წერილობით, სულ ცოტა, რვა დღით ადრე და სავარაუდო დღის წესრიგითურთ და შეიძლება ჩატარდეს საქართველოში ან საზღვარგარეთ როგორც ეს ადრე იყო გათვალისწინებული შესაბამისი დღის წესრიგით.
- სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები ტარდება კვარტალში ერთხელ მაინც.
- სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები ტარდება ქართულ და/ან თურქულ და/ან ინგლისურ ენებზე. სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ან წარმოდგენილია წევრთა სულ მცირე ნახევარი. თუ საბჭო არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, თავმჯდომარეს (მისი არყოფნისას – მის მოადგილეს), შეუძლია, სულ მცირე, რვა დღის ვადაში მოიწვიოს ახალი სხდომა, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანი იქნება, თუ მას ესწრება წევრთა არანაკლებ 25%. თუ სამეთვალყურეო საბჭო კვლავ არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ სამეთვალყურეო საბჭოს უწყდება უფლებამოსილება და თავმჯდომარე იწვევს საერთო კრებას.
- სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებათა შესახებ დგება ოქმი ქართულ და/ან თურქულ და/ან ინგლისურ ენებზე და ოქმს ხელს აწერს კრების თავმჯდომარე.

სამეთვალყურეო საბჭოს ამოცანები და კომპეტენციაა:

- გაუწიოს კონტროლი დირექტორების საქმიანობას;
- ნებისმიერ დროს მოითხოვოს დირექტორებისაგან ბანკის საქმიანობის ანგარიში;
- გააკონტროლოს და შეამოწმოს ბანკის ფინანსური დოკუმენტაცია, ასევე ქონებრივი ობიექტები, კერძოდ, ბანკის ფასიანი ქაღალდებისა და საქონლის მდგომარეობა და მას ეს შეუძლია დაავალოს ცალკეულ წევრებს ან განსაზღვრულ ექსპერტებს;
- მოიწვიოს აქციონერთა საერთო კრება, თუ ამას ბანკის აუცილებლობა მოითხოვს;
- შეამოწმოს წლიური ანგარიშები. მოგების განაწილების წინადადება და ინფორმაცია მდგომარეობის შესახებ და ამის შესახებ მოახსენოს საერთო კრებას; ცნობაში სამეთვალყურეო საბჭომ უნდა მიუთითოს, თუ როგორ და რა მოცულობით შეამოწმა მან საზოგადოების ხელმძღვანელობა გასული სამეურნეო წლის განმავლობაში, წლიური ანგარიშისა და საქმიანობის ანგარიშის თუ რომელი ნაწილი შეამოწმა და გამოიწვიეს თუ არა ამ შემოწმებებმა საბოლოო შედეგების არსებითი ცვლილებები;
- დანიშნოს და ნებისმიერ დროს გამოიწვიოს დირექტორები, ასევე დადოს და შეწყვიტოს მათთან ხელშეკრულებები; დანიშნოს და ნებისმიერ დროს გამოიწვიოს აუდიტის კომიტეტის წევრები.

- დაამტკიცოს ბანკის სტრუქტურა და დებულებები წინამდებარე წესდებით ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში;
- წარმოადგინოს ბანკი დირექტორებთან გარიგებების შესრულებისას, აგრეთვე საერთო კრების გადაწყვეტილებით საზოგადოების სახელით მათ წინააღმდეგ წარმართოს სამართლებრივი დავა.
- სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია, თუ საკითხი შეეხება მისი წევრის პასუხისმგებლობას, აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების გარეშე სამეთვალყურეო საბჭოს წევრების წინააღმდეგ შეიტანოს სარჩელი.

საქმიანობა, რომელიც მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს:

- საწარმოთა 50%-ზე მეტი წილის შეძენა და გასხვისება;
- ფილიალების შექმნა და მათი ლიკვიდაცია;
- წლიური ბიუჯეტის დამტკიცება და გრძელვადიანი ვალდებულებების აღება;
- საზოგადოების ქონების შეძენის, გასხვისების ან გაცვლის (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგეგებების) შესახებ გადაწყვეტილების მიღება, რომელთა ღირებულება შეადგენს საზოგადოების ქონების საბალანსო ღირებულების 10%-ს, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ეს არ შეეხება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას;
- სესხებისა და კრედიტების აღება, რომლებიც აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ ოდენობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- სესხებისა და კრედიტების უზრუნველყოფა, თუ ისინი არ მიეკუთვნებიან ჩვეულებრივ სამეურნეო საქმიანობას. ამგვარი უზურნველყოფა სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და დირექტორების მიმართ დაუშვებელია;
- ახალი სახის საბანკო საქმიანობის დაწყება ან საქმიანობის არსებული სახის შეწყვეტა;
- სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების დადგენა;
- ხელმძღვანელ პირებისათვის მოგებისა და სხვა მსგავს ურთიერთობებში მონაწილეობისა და პენსიის გაცემის უზრუნველყოფის პრინციპების დადგენა და აქციონერთა კრებაზე დასამტკიცებლად წარდგენა;
- სავაჭრო წარმომადგენლების (პროკურისტების) დანიშვნა და გამოწვევა;
- გადაწყვეტილების მიღება საზოგადოების აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვების შესახებ, თუ ამგვარი დაშვება საზოგადოებას აკისრებს კანონით გათვალისწინებულ მნიშვნელოვან დამატებით ხარჯებს;
- საკრედიტო, საინვესტიციო, სავალუტო, აქტივებისა და ვალდებულებების მართვის, აქტივების შეფასების, მათი კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების ადეკვატური რეზერვის შექმნის შიდა პოლიტიკისა და პროცედურების განსაზღვრა და დამტკიცება;
- კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ბანკის მიერ გამოშვებული აქციების გამოსყიდვა;

- ბანკის მიერ საკრედიტო რესურსებზე და დეპოზიტებზე გამოსაყენებლი მინიმალური და მაქსიმალური საპროცენტო განაკვეტების ოდენობის განსაზღვრა და დამტკიცება;

✓ სამეთვალყურეო საბჭო იღებს ასევე გადაწყვეტილებებს კანონმდებლობით, საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტებით და ბანკის შიდა ნორმატიული აქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

✓ საბჭოს წევრებმა კეთილსინდისიერად და გულმოდგინედ უნდა შეასრულონ დაკისრებული ამოცანები. კერძოდ ისინი ვალდებულები არიან იზრუნონ ბანკზე და მის სტაბილურობაზე ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი და იმოქმედონ იმ რწმენით, რომ მათი ეს ქმედება ყველაზე ხელსაყრელია ბანკისათვის.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ვალდებულნი არიან:

- რეგულარულად დაესწრონ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს და აქტიური მონაწილეობა მიიღონ საკითხების განხილვაში;
- მოითხოვონ დღის წესრიგში საკითხის შეტანა და სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის მოწვევა, როდესაც ეს აუცილებლობას წარმოადგენს;
- არ გაამჟღავნონ კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც მათ მიიღეს თავიანთი სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებისას;
- დროულად მიაწოდონ აქციონერებს ზუსტი და სრული ინფორმაცია ბანკის საქმიანობისა და მისი ფინანსური მდგომარეობის შესახებ;
- არ გამოიყენონ პირადი სარგებლის მისაღებად ბანკის ქონება და თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას მოპოვებული ინფორმაცია;
- თავი შეიკავონ ისეთ გარიგებებში მონაწილეობისგან, რასაც შეიძლება მოჰყვეს მათი ინტერესების წინააღმდეგობაში მოსვლა ბანკის ინტერესებთან (ინტერესთა შეუთავსებლობა);
- ინტერესთა შეუთავსებლობის ნებისმიერი შემთხვევისას განუცხადონ დირექტორატსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ამის შესახებ და თავი შეიკავონ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების დროს ხმის მიცემისაგან.
- კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ან მის წევრებს აქციონერთა საერთო კრების თანხმობის გარეშე არ შეუძლიათ სხვებისათვის თავიანთი უფლებების დელეგირება.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების დამოუკიდებლობა და თითოეული დამოუკიდებელი წევრის დამოუკიდებლად მიჩნევის შესახებ არგუმენტები

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები სრულად აკმაყოფილებენ ადმინისტრატორის შესაფერისობის კრიტერიუმებს. დანართში “ადმინისტრატორები” წარმოდგენილია სამეთვალყურეო საბჭოს წევრების განათლებასა და სამუშაო გამოცდილების შესახებ ინფორმაცია. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს გააჩნიათ განათლების თანაბარი დონე,

სამეთვალყურეო საბჭოში დაცულია ხმათა უმრავლესობის პრინციპი და არ არსებობს დომინანტი პირის რისკი.

სამეთვალყურეო საბჭო, მასზე მინიჭებული უფლებამოსილებიდან გამომდინარე, აქტიურად არის ჩართული ბანკის ფუნქციონირებაში. წლის განმავლობაში ტარდება 4 რიგითი სხდომა, ასევე ბანკის საჭიროების მიხედვით რიგგარეშე სხდომები. 2025 წელს ჩატარდა 23 სხდომა. 2025 წლის განმავლობაში ჩატარებულ სხდომებზე განხილულ იქნა ბანკისთვის აქტუალური საკითხები, რომელიც სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციაში შედის.

2025 წელს ჩატარებული სამეთვალყურეო საბჭოს კრებების დღის წესრიგი

- ლიმიტს ზედა ოდენობის სესხების განხილვა და დამტკიცება;
- ახალ თანამშრომელთა დანიშვნა;
- სს ზირაათ ბანკი საქართველოს გაჯანსაღების გეგმის დამტკიცება;
- წერეთლის ს/ცენტრის დახურვა
- სადაზღვევო კომპანიისგან მომსახურების შეძენა
- 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცება
- საკრედიტო ლიმიტების, საწვავის და წარმომადგენლობითი ხარჯების ლიმიტების განსაზღვრა და დამტკიცება;
- სამეთვალყურეო საბჭოს ახალ წევრთა არჩევა და კომიტეტის დაკომპლექტება
- ბანკის რისკის აპეტიტის განაცხადის დამტკიცება

სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის შეფასება

სამეთვალყურო საბჭოს შეფასება ხორციელდება საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით დამტკიცებული კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად. შეფასება მოიცავს სამეთვალყურეო საბჭოს, მისი წევრების და კომიტეტების შეფასებებს. შეფასება ხორციელდება საბჭოს მიერ ყოვლწლიურად.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიერ გაკეთებული თვითშეფასების მიხედვით, თითოეული წევრის პრაქტიკული თუ თეორიული ცოდნა და გამოცდილება შეესაბამება იმ მოთხოვნებს, რაც საჭიროა მათზე დაკისრებული მოვალეობის ჯეროვნად და სრულფასოვნად შესრულებისთვის. თითოეული მათგანი ძირეულად იცნობს ბანკის სტრუქტურას და მუშაობის სპეციფიკას, ისინი აქტიურად არიან ჩართულნი კომიტეტების მუშაობაში.

დამოუკიდებელი შეფასების საფუძველზე დადგინდა, რომ სს „ზირაათ ბანკი საქართველო“-ს სამეთვალყურეო საბჭო, მთლიანობაში, ეფექტიანად ფუნქციონირებს მოქმედი კანონმდებლობის, მარეგულირებელი ჩარჩოებისა და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, კორპორაციული მართვის მოთხოვნების გათვალისწინებით.

შეფასების მიხედვით, სამეთვალყურე საბჭოს სხდომები, აგრეთვე სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისაგან შემდგარი აუდიტისა და რისკების მართვის კომიტეტების სხდომები, იმართებოდა რეგულარულად და სხდომებზე განიხილებოდა ბანკისთვის მნიშვნელოვანი სტრატეგიული საკითხები.

დირექტორთა საბჭო

სახელი, გვარი	თანამდებობა
თურგუთ გულჯიჰან	გენერალური დირექტორი
ჰალუქ ჯენგიზ	გენერალური დირექტორის მოადგილე
მერთ ქოზაჯიოღლუ	დირექტორი
კონსტანტინე მაჭავარიანი	დირექტორი

- ბანკის ხელმძღვანელობა და მისი წარმომადგენლობა ევალება დირექტორთა საბჭოს. დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია ბანკის მართვაზე, მისი საქმიანობის ბანკის მიზნების შესაბამისად წარმართვაზე.
- დირექტორთა საბჭო შედგება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ოთხ წლამდე ვადით დანიშნული არანაკლებ სამი დირექტორისაგან, რომელთა უფლებამოსილება გრძელდება ამ ვადის გასვლის შემდეგაც სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ახალი დირექტორების დანიშვნამდე. დირექტორების დანიშვნა ხელმეორე ვადით შეუზღუდავია და ისინი შეიძლება გათავისუფლდნენ ნებისმიერ დროს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მათი უფლებამოსილების ვადის დასრულებამდე.
- დირექტორატს ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული გენერალური დირექტორი.
- დირექტორთა საბჭო ანგარიშვალდებულია ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე.
- დირექტორატის უფლებამოსილებაში შედის ყველა იმ საკითხის გადაწყვეტა, რაც კანონმდებლობითა და წესდებით არ განეკუთვნება აქციონერთა საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას. დირექტორატი განიხილავს და იღებს წინასწარ გადაწყვეტილებას ყველა იმ საკითხზე, რომელზეც კანონმდებლობისა და წესდების თანახმად სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობაა საჭირო.
- გენერალური დირექტორი (მისი არყოფნისას გენერალური დირექტორის მოადგილე) ერთპიროვნულად მართავს ბანკს, აკონტროლებს დირექტორთა საქმიანობას და წარმოადგენს ბანკს მესამე პირებთან ურთიერთობაში. დირექტორთა საბჭოს წევრები (გენერალური დირექტორის მოადგილე და დირექტორები) ხელმძღვანელობენ თავიანთ დაქვემდებარებაში შემავალ სტრუქტურულ ერთეულებს

(დეპარტამენტებს). ისინი პასუხისმგებლები არიან მათ გამართულ ფუნქციონირებაზე და ბანკის სტრატეგიის შესაბამისად განსაზღვრული პოლიტიკის განხორციელებაზე.

- გენერალური დირექტორის მოადგილე და დირექტორები ხელმძღვანელობენ წესდებისა და შინაგანაწესის თანახმად მათ დაქვემდებარებაში შემავალ სამსახურებს და მათ საქმიანობას წესდებისა და შინაგანაწესის შესაბამისად, წარმოადგენს ბანკს ამ სფეროში მესამე პირებთან ურთიერთობაში.
- მესამე პირებთან ურთიერთობაში ბანკის წარმოდგენის უფლება აქვთ მხოლოდ იმ დირექტორებს, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან ასეთებად სამეწარმეო რეესტრში, თუ ასეთი წევრები არ განახორციელებენ თავიანთი უფლებამოსილებების დელეგირებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. დირექტორები კომპანიას წარმოადგენენ როგორც ერთობლივად, ასევე ცალ-ცალკე.
- დირექტორთა საბჭოს სხდომების მოწვევა, გადაწყვეტილებების მიღება და ბანკის ხელმძღვანელობა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის, ბანკის წესდების, შინაგანაწესის და სხვა შიდა ნორმატიული აქტების შესაბამისად. დირექტორთა საბჭოს სხდომები შეიძლება ჩატარდეს საქართველოში ან საზღვარგარეთ, შესაბამისი დღის წესრიგით.
- დირექტორატის სხდომები ტარდება საჭიროების მიხედვით, მაგრამ არანაკლებ თვეში ერთი სხდომისა და წარიმართება ქართულ და/ან თურქულ და/ან ინგლისურ ენებზე. სხდომა მოიწვევა გენერალური დირექტორის, ასევე დირექტორატის რომელიმე წევრის ინიციატივით.
- გენერალური დირექტორი ადგენს სხდომის დღის წესრიგს, ამზადებს საჭირო მასალებს და თავმჯდომარეობს სხდომებს. დირექტორატის წევრებს უფლება აქვთ გენერალურ დირექტორთან დააყენონ წინადადება დღის წესრიგში საკითხის შეტანის თაობაზე.
- სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება დირექტორატის წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე ხმათა უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია გენერალური დირექტორის (მისი არყოფნისას _ გენერალური დირექტორის მოადგილის) ხმა.
- დირექტორთა საბჭოს სხდომაზე დგება ოქმი ქართულ და/ან თურქულ და/ან ინგლისურ ენებზე, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე.
- გენერალური დირექტორის მოადგილე და დირექტორები ანგარიშვალდებულები არიან გენერალური დირექტორის და სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე. გენერალური დირექტორი ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე.
- გენერალური დირექტორი, გენერალური დირექტორის მოადგილე და/ან დირექტორები ვალდებულნი არიან სამეთვალყურეო საბჭოს აცნობონ ყველა იმ გარემოების შესახებ, რომლებმაც შეიძლება მნიშნელოვანი გავლენა მოახდინოს ბანკის მდგომარეობაზე.
- გენერალური დირექტორი, გენერალური დირექტორის მოადგილე და/ან დირექტორები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად. კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავენ ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირები და

მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისთვის.

დირექტორები ვალდებულნი არიან:

- რეგულარულად დაესწრონ დირექტორატის სხდომებს და აქტიური მონაწილეობა მიიღონ საკითხების განხილვაში;
- მოითხოვონ დღის წესრიგში საკითხის შეტანა და დირექტორატის სხდომის მოწვევა, როდესაც ეს აუცილებლობას წარმოადგენს;
- არ გაამჟღავნონ კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც მათ მიიღეს თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას;
- არ გამოიყენონ პირადი სარგებლის მისაღებად ბანკის ქონება და თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას მოპოვებული ინფორმაცია;
- თავი შეიკავონ ისეთ გარიგებებში მონაწილეობისგან, რასაც შეიძლება მოჰყვეს მათი ინტერესების წინააღმდეგობაში მოსვლა საზოგადოების ინტერესებთან (ინტერესთა შეუთავსებლობა);
- ინტერესთა შეუთავსებლობის ნებისმიერი შემთხვევისას განუცხადონ დირექტორატსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ამის შესახებ და თავი შეიკავონ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების დროს ხმის მიცემისაგან;
- დაუყოვნებლივ მიაწოდონ სამეთვალყურეო საბჭოს წევრს ამ უკანასკნელის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია;
- შეასრულონ კანონმდებლობით, ბანკის წესდებითა და შიდა ნორმატიული აქტებით, სამომსახურებო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები და ბანკის აქციონერთა საერთო კრების, ასევე სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებები.

დირექტორთა საბჭოს წევრების შერჩევა ხდება საქართველოს კომერციული ბანკების ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ დებულების თანახმად განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით. ამჟამინდელი დირექორატის საბჭოს ყველა წევრი სრულიად აკმაყოფილებს კანონით განსაზღვრულ ადმინისტრატორის შესაფერისობის კრიტერიუმებს.

დირექტორთა საბჭოს შედგება:

- გენერალური დირექტორი
- გენერალური დირექტორის მოადგილე, რომელიც პასუხისმეგებელია ხაზინისა და საოპერაციო განყოფილების ფუქცნიონირებაზე
- დირექტორი, რომელიც პასუხისმეგებელია მარკეტინგისა და საკრედიტო განყოფილების ფუნქციონირებაზე
- დირექტორი, რომელიც პასუხისმგებელია რისკების მართვის განყოფილების ფუნქციონირებაზე

ანაზღაურების შესახებ ინფორმაცია

ამ ეტაპისთვის ბანკის ანაზღაურების სისტემაში არ გამოიყენება აქციებთან დაკავშირებული ინსტრუმენტები, არ ყავს საბჭოსთან არსებული ანაზღაურების კომიტეტი და არც ერთი თანამშრომელი არ იღებს წელიწადში მილიონ ლარზე მეტს ანაზღაურების სახით. დირექტორების ანაზღაურებას, განსაზღვრავს მშობელი ბანკის ადამიანური რესურსების დეპარტამენტი. ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურებას, აქციონერთა საბჭო.

სს „ზირაათ ბანკი საქართველო“-ს ანაზღაურების პოლიტიკა შემუშავებულია ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ზედამხედველობით, საქართველოს კანონმდებლობის, ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებული კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის მოთხოვნების, ბანკის შიდა ნორმატიული დოკუმენტაციის შესაბამისად, საერთაშორისო სტანდარტების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით. თანამშრომელთა ანაზღაურების სისტემა უზრუნველყოფს სამართლიან, თანმიმდევრულ, კორექტულ და კონკურენტუნარიან ანაზღაურებას და ხელს უწყობს თანამშრომელთა მოზიდვას, მათ მოტივირებასა და შენარჩუნებას.

ბანკში მოქმედი ანაზღაურების სტრუქტურა ეფუძნება როგორც ბანკის რისკის აპეტიტს, ასევე ბანკის ბიზნესისა და რისკის სტრატეგიას, მიზნებს, ღირებულებებს და „ბანკის“ გრძელვადიან ინტერესებს.

ფიქსირებული ანაზღაურების განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება შემდეგი კომპონენტები: ბაზარზე არსებული პოზიციის განკუთვნილი სახელფასო დიაპაზონი, პოზიციის სტატუსი სტრუქტურულ იერარქიაში, ინდივიდუალური კვალიფიკაცია, ბაზრის უახლესი ტენდენციები და სხვა.

ფიქსირებული და ცვლადი ანაზღაურება შესაბამის ბენეფიტებთან ერთად, ბანკის ანაზღაურების სისტემის შემადგენელი ნაწილებია. ფიქსირებული ანაზღაურება თანამშრომლებისთვის გაიცემა ყოველთვიურად, ხელფასის სახით; ცვლადი ანაზღაურება არის დამატებითი, თანამშრომლის მიერ სამუშაოს შესრულებაზე დამოკიდებული ელემენტი, რომლის გადახდაც განსხვავებული პერიოდულობით ხდება.

ცვლადი ანაზღაურება მოიცავს როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი შეფასების კომპონენტებს. ისინი განისაზღვრება ყოველი წლის დასაწყისში და ინდივიდუალურია ყველა სტრუქტურული ერთეულისთვის, მათი საქმიანობისა და ფუნქციის შესაბამისად.

ბანკი დამატებით თავის თანამშრომლებს სთავაზობს როგორც სხვადასხვა ტიპის ბენეფიტებს, კერძოდ ჯანმრთელობის დაზღვევას, საერთაშორისო პროფესიული სერტიფიცირების საფასურს, ასევე სხვადასხვა სახელფასო დანამატებს. (კვების, სატელეკომუნიკაციო და ტრანსპორტირების)

კომიტეტები

ბანკში ფუნქციონირებს კომიტეტები, რომელიც დაქვემდებარებულია სამეთვალყურეო საბჭოსა და გენერალურ დირექტორზე.

საკრედიტო კომიტეტი

საკრედიტო კომიტეტის უფლებამოვალეობა (კომპეტენცია და ამოცანები)

- საკრედიტო კომიტეტი ასრულებს იმ ფუნქციებს, რომელიც განისაზღვრება ,,კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის, ასევე საქართველოს ეროვნული ბანკის კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად.
- საკრედიტო კომიტეტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება და გასცეს სესხი სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მასზე გადაცემული უფლებამოსილების ფარგლებში
- საკრედიტო კომიტეტი ვალდებულია შეასრულოს ყველა ის დავალება, რომელსაც მას გადასცემს სამეთვალყურეო საბჭო სესხებთან დაკავშირებით.

საკრედიტო კომიტეტის წევრები და კომიტეტის სხდომის ჩატარების წესი

- კომიტეტი უნდა შედგებოდეს მინიმუმ სამი წევრისგან. კომიტეტის წევრთა რაოდენობის განსაზღვრა, საბჭოს წევრების არჩევა ან გადაყენება სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციაა. იმ შემთხვევაში, თუ საკრედიტო კომიტეტის ერთ-ერთ წევრს ნებისმიერი მიზეზით შეუწყდება შრომითი ხელშეკრულება ბანკთან, ეს წევრი ავტომატურად გადაყენებულ იქნება კომიტეტის წევრობიდან.
- საკრედიტო კომიტეტის გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნას ერთხმად. საკრედიტო კომიტეტის გადაწყვეტილების ერთხმად მიუღებლობის შემთხვევაში, განაცხადს აფასებს ზემდგომი ორგანო. კომიტეტის სხდომებს ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი.
- სხდომებზე მოწვეულ უნდა იქნან ბანკის სტრუქტურული ერთეულების მენეჯერები. გადაწყვეტილებები, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად მიიღება სხდომის ოქმის სახით.
- საკრედიტო კომიტეტის სხდომების სამდივნო პროცედურებს უზრუნველყოფს დირექტორატის სამდივნო.

სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილი აუდიტის კომიტეტი

- კომიტეტი წარმოადგენს მუდმივ კოლეგიალურ ორგანოს და სრულად ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე.
- კომიტეტის მანდატი განისაზღვრება საქართველოს ეროვნული ბანკის, 2018 წლის 26 სექტემბრის 215/04 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის“ მოთხოვნების მიხედვით;
- აუდიტის კომიტეტი ბანკის კორპორაციული მართვის სისტემის მნიშვნელოვანი რგოლია. ეს რგოლი ზედამხედველობას ახორციელებს შიდა აუდიტის განყოფილების საქმიანობაზე და აქციონერთა ინტერესებს იცავს ფინანსური ანგარიშგების შედგენის საიმედოობის თვალსაზრისით. აუდიტის კომიტეტი პასუხს აგებს ბანკის რისკის მართვის პოლიტიკასა და პროცედურებთან შესაბამისობის ზედამხედველობაზე, ასევე რისკის მართვის სისტემის ადეკვატურობის შემოწმებაზე ბანკის წინაშე მდგარ რისკებთან მიმართებაში.
- კომიტეტი დაკომპლექტებულია არანაკლებ 3 (სამი) წევრისგან, რომელთა უმრავლესობას წარმოადგენენ სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრები;
- კომიტეტის თავმჯდომარე არის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი და იმავდროულად არ არის სამეთვალყურეო საბჭოს ან/და სხვა კომიტეტის თავმჯდომარე.
- აუდიტის კომიტეტის სხდომა ტარდება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ კვარტალში ერთხელ. აუდიტის კომიტეტის სხდომას ესწრება მინიმუმ ორი წევრი. აუდიტის კომიტეტზე გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით, ხოლო ორი წევრის დასწრების შემთხვევაში ერთხმად.
- კომიტეტის რიგგარეშე სხდომა შესაძლებელია ჩატარდეს სამეთვალყურეო საბჭოს ან აუდიტის კომიტეტის ნებისმიერი წევრის ან დირექტორთა საბჭოს მოთხოვნის საფუძველზე.
- სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილი აუდიტის კომიტეტი გარდა სხვა ფუნქციებისა:
    - მონიტორინგს უწევს და აქტიურად თანამშრომლობს ბანკის შიდა აუდიტის განყოფილებასთან, განსაზღვრავს შიდა აუდიტის ჩატარების ფორმებს და მეთოდებს;
    - უზრუნველყოფს შიდა აუდიტის განყოფილების ფუნქციების ადეკვატურობას და დამოუკიდებულობას;
    - განიხილავს და ამტკიცებს ჩასატარებელ შიდა აუდიტის მასშტაბებს და ჩატარების სიხშირეს;
    - განიხილავს და ამტკიცებს შიდა აუდიტის სამსახურის მიერ მომზადებულ კვარტალურ მოხსენებებს, საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციებს წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს.
    - მონიტორინგს უწევს ბანკის რისკების მართვის მთლიან სისტემას და ბანკის შიდა კონტროლის ეფექტურობას;
    - კომიტეტი ასევე ურთიერთობს ბანკის გარე აუდიტორთან და განიხილავს ფასს-ის წლიურ ფინანსურ ანგარიშგებებს;
    - აუდიტის კომიტეტი ასრულებს იმ მოვალეობას, რომელიც განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობისა და ბანკის დებულების მიხედვით;

რისკების მართვისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების კომიტეტი

რისკების მართვისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების კომიტეტის უფლებამოვალეობანი (ამოცანები და კომპეტენცია)

- კომიტეტი ასრულებს იმ ფუნქციებს, რომელიც განისაზღვრება კომერციული ბანკების შესახებ საქართველოს კანონის, საქართველოს ეროვნული ბანკის კორპორატიული მართვის სტანდარტების და სხვა კანონქვემდებარე აქტების მიხედვით.
- კომიტეტი, ბანკის საქმიანობისას წარმოქმნილ რისკების მართვასთან დაკავშირებით პასუხისმგებელია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე.
- კომიტეტი განსაზღვრავს ბანკის რისკების მართვის პოლიტიკას და აღნიშნული პოლიტიკის ფარგლებში ამზადებს გეგმებს.
- უზრუნველყოფს შესაბამისი ზომების მიღებას იმ ფაქტორებთან დაკავშირებით, რომელიც უარყოფით ზეგავლენას ახდენს ბანკის კაპიტალის ადეკვატურობაზე და რისკის პროფილზე.
- უზრუნველყოფს ბანკის საინფორმაციო ტექნოლოგიების შესაბამისობას სტრატეგიის სამუშაო სტრატეგიასთან.

რისკების მართვისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების კომიტეტის წევრები და სხდომის ჩატარების წესი

- კომიტეტი შედგება მინიმუმ 5 დამოუკიდებელი წევრისგან. წევრების რაოდენობას განსაზღვრავს და წევრებს ირჩევს სამეთვალყურეო საბჭო.
- კომიტეტის სხდომები ტარდება კომიტეტის წევრთა უმრავლესობის დასწრებით მინიმუმ ოთხ თვეში ერთხელ. კომიტეტის საგანგებო სხდომა შესაძლებელია ჩატარდეს სამეთვალყურეო საბჭოს, აუდიტის კომიტეტის და დირექტორთა საბჭოს მოთხოვნის საფუძველზე. სხდომას ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი. გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გენერალური დირექტორის ხმა გადამწყვეტია.
- კომიტეტის სხდომების სამდივნო პროცედურებს უზრუნველყოფს კორპორატიული მდივანი

სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილი რისკების მართვის კომიტეტი

- კომიტეტი წარმოადგენს მუდმივ კოლეგიალურ ორგანოს და სრულად ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე.
- კომიტეტის მანდატი განისაზღვრება საქართველოს ეროვნული ბანკის, 2018 წლის 26 სექტემბრის 215/04 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის“ მოთხოვნების მიხედვით
- კომიტეტი დაკომპლექტებულია არანაკლებ 3 (სამი) წევრისგან, რომელთა უმრავლესობას წარმოადგენენ სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრები

- კომიტეტის თავმჯდომარე არის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი და იმავდროულად არ არის სამეთვალყურეო საბჭოს ან/და სხვა კომიტეტის თავმჯდომარე
- სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილი რისკების კომიტეტი გარდა სხვა ფუნქციებისა:
  - განიხილავს რისკის სტრატეგიებს როგორც აგრეგირებული, ისე ინდივიდუალური რისკის ჭრილში და აანალიზებს მათ შესაძლო გავლენას ბანკის რისკ აპეტიტზე
  - მონიტორინგს ახორციელებს მენეჯმენტის მიერ ბანკის რისკის აპეტიტის პოლიტიკით დადგენილი მიდგომებისა და ლიმიტების შესრულებაზე
  - თანამშრომლობს და ზედამხედველობას უწევს რისკების დირექტორის საქმიანობას, რათა უზრუნველყოფილი იყოს ბანკის რისკების მართვის სისტემის ეფექტურობა და პროპორციულობა ბანკის რისკების ბუნებასთან, მასშტაბებსა და კომპლექსურობასთან
  - აფასებს ბანკის ბიზნეს მოდელიდან გამომდინარე რისკებს და სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით შეიმუშავებს რეკომენდაციებს აღნიშნული რისკების მიტიგაციის უზრუნველსაყოფად
  - უზრუნველყოფს ეფექტურ კომუნიკაციას და კოორდინაციას აუდიტის კომიტეტთან, რაც მოიცავს ინფორმაციის გაცვლას, ყველა სახის მნიშვნელოვანი რისკის იდენტიფიცირებას, ბანკის რისკების მართვის ჩარჩოში მიზანშეწონილი კორექტირებების განხილვის მიზნით.

აქტივებისა და პასივების მართვის კომიტეტი

აქტივებისა და პასივების მართვის კომიტეტის უფლებამოვალეობანი

- ამზადებს ბანკის აქტივებისა და პასივების მართვის პოლიტიკას არსებული კანონქვემდებარე აქტებისა და ბანკის ფინანსური მიზნების გათვალისწინებით.
- ბანკის პოლიტიკისა და მიზნების ჭრილში, განაგებს ლიკვიდობისა და საბაზრო რისკებს და მართავს ფულად სახსრებს ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას რისკების მინიმუმამდე დაყვანა და მაქსიმალური მოგების მიღება.
- თვალყურს ადევნებს ეკონომიკურ სფეროში განვითარებულ მოვლენებს, მოქმედ სავალუტო ფინანსურ პოლიტიკას, უფლებამოსილი ორგანოების მიერ მიღებულ კანონქვემდებარე აქტებს და საბანკო სექტორში და ბაზარზე განვითარებულ მოვლენებს. აფასებს თუ რა ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს განვითარებულმა მოვლენებმა საბანკო სექტორზე და უშუალოდ ბანკზე, თვალყურს ადევნებს ბანკის რეიტინგს.
- განვითარებული მოვლენების ფონზე ბიუჯეტის გადახედვის აუცილებლობის შემთხვევაში, თავიდან განსაზღვრავს ბანკის მიზნებს, სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგენს რეკომენდაციებს განსაზღვრული სტრატეგიული მიზნების ფარგლებში.

- უზრუნველყოფს ლიკვიდობასთან და სავალუტო ოპერაციებთან დაკავშირებით არსებული კანონმდებლობითა და ბანკის შიდა დებულებებით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვას.

აქტივებისა და პასივების კომიტეტის წევრები და სხდომების ჩატარების წესი

- კომიტეტი შედგება მინიმუმ სამი დამოუკიდებელი წევრისგან. წევრების რაოდენობას განსაზღვრავს და წევრებს ირჩევს სამეთვალყურეო საბჭო. წევრები შეირჩება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დირექტორთა საბჭოს წევრებსა და განყოფილებების ხელმძღვანელ პირებს შორის.
- იმ შემთხვევაში, თუ კომიტეტი შედგება სამი წევრისგან, საკმარისი ქვორუმი იქნება კომიტეტის სრული შემადგენლობა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ კომიტეტი შედგება სამ წევრზე მეტი წევრისგან, კომიტეტის წევრთა რაოდენობის ნახევარზე მეტი, ხოლო გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით. სხდომას ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი, ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გენერალური დირექტორის ხმა გადამწყვეტია.
- კომიტეტის სხდომა ტარდება მინიმუმ თვეში ერთხელ. სხდომა შესაძლებელია მოწვეულ იქნეს კომიტეტის ერთ-ერთი წევრის, სამეთვალყურეო საბჭოს, აუდიტთა საბჭოსა და აქციონერთა საბჭოს ინიციატივით. სხდომაზე შესაძლებელია მოწვეულ იქნან ბანკის სხვადასხვა განყოფილების ხელმძღვანელები. გადაწყვეტილებები, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად მიიღება სხდომის ოქმის სახით.
- აქტივებისა და პასივების კომიტეტის სხდომების სამდივნო პროცედურებს უზრუნველყოფს ბიუჯეტის, ანგარიშგებისა და ფონდის მართვის განყოფილება.

შიდა აუდიტის სამსახური

ბანკში რისკების მართვის პროცესებს მეთვალყურეობს ბანკის შიდა აუდიტი, რომელიც სისტემატური და არასისტემატური შემოწმებებით ადგენს პროცედურების ადეკვატურობასა და ბანკის შესაბამისობას პროცედურებთან. შიდა აუდიტი ყველა შეფასების შედეგს განიხილავს დირექტორთა საბჭოსთან და აუდიტის კომიტეტს შედეგებსა და რეკომენდაციებს მოახსენებს.

შიდა აუდიტის სამსახური წარმოადგენს ბანკის სტრუქტურულ ერთეულს, იგი ექვემდებარება სამეთვალყურეო საბჭოსთან არსებულ აუდიტის კომიტეტს, რომელიც, თვის მხრივ, ვალდებულია უზრუნველყოს სამსახურის ობიექტურობა და მისი დამოუკიდებლობა დირექტორატისგან.

შიდა აუდიტის სამსახურის სფერო და მასშტაბები მოიცავს ბანკის ყველა სტრუქტურულ ერთეულს და პროცესს, IT სამსახურის გარდა და ეფუძნება რისკის დონის დადგენას, მოქმედ კანონმდებლობას, ნორმებსა და სტანდარტებს. აუდიტორული შემოწმება ითვალისწინებს

ბანკის შესამოწმებელ სრუქტურულ ერთეულში თითოეული ობიექტისა და საკითხის კონკრეტიზაციას, რომელთა ანალიზი შემდგომში ასახულ უნდა იქნას დასკვნაში.

რისკების მართვა

რისკის სტრატეგია

სს „ზირაათ ბანკი საქართველო-ს“ რისკის სტრატეგია გამომდინარეობს ბანკის ბიზნეს სტრატეგიიდან, რომელიც გაწერილია 2030 წლის ბოლომდე და განსაზღვრავს ბანკის ზრდის ტემპს, სასურველ ფინანსურ შედეგებს, დაკრედიტების სფეროების პრიორიტეტულობას, ბანკის შიდა სრუქტურასა და დიზაინს. ბანკის ბიზნეს სტრატეგია გამყარებულია შესაბამისი შიდა პოლიტიკებითა და პროცედურებით.

ბანკი აღნიშნული პერიოდისათვის გეგმავს სტაბილურ და სწრაფ ზრდას, რომელიც ძირითადად გამოხატული იქნება საკრედიტო პორტფელის ზრდით. ბანკი აცნობიერებს სწრაფ ზრდის ტემპთან დაკავშიებულ რისკებს და ახდენს მათ მიტიგაციას, როგორც ჭარბი საზედამხედველო კაპიტალით ასევე პოლიტიკებით, პროცედურებითა და ლიმიტებით.

რისკის სტრატეგია გაცნობიერებულია ბანკის ყველა სტრუქტურული ერთეულების დონეზე და ბიზნეს სტრატეგიის გარდა გამოხატულია ბანკის რისკის მართვის პოლიტიკაში. მნიშვნელოვანია, რომ ბანკის რისკის სტრატეგიის განხორციელების აღსრულება ხდება ბანკის დირექტორატისა და შესაბამისი რისკზე პასუხისმგებელი ორგანოების მიმართ, ამ პროცესს კი ზედამხედველობას უწევს სამეთვალყურეო საბჭო.

რისკის მართვის ჩარჩო

- **რისკის მფლობელები**

ბანკში რისკის მართვა სხვადასხვა დონეზე ხორციელდება, თითეული რისკის მართვაში შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანო იღებს მონაწილეობას. იმ სტრუქტურული ერთეულების ჩამონათვალი და პასუხისმგებლობები, რომლებიც რისკის მართვაში მონაწილეობენ მიკრო დონეზე მოცემულია რისკების მართვის ორგანიზება და სტრუქტურის თავში. მნიშვნელოვანია, რომ ბანკში თითოეული რისკის კატეგორიის მართვა ხდება სხვადასხვა დონეზე, პირველი დონე არის უშუალოდ ის სტრუქტურული ქვედანაყოფები, რომელიც არიან კონკრეტული რისკის მფლობელნი, მასშტაბური და მნიშვნელოვანი რისკების განხილვა შემდეგ ხდება კომიტეტის დონეზე, რომელიც საბოლოოდ გადადის დირექტორატისა და სათაო ოფისის დონეზე, რომელიც ახდენს მაკრო დონეზე რისკის მართვას.

- **რისკის კლასიფიკაცია**

სს „ზირაათ ბანკი საქართველოს“ რისკების კლასიფიკაციას ახდენს ორ ძირითად მიმართულებად ფინანსური რისკი და არაფინანსური რისკი, თითოეული რისკის კლასის დახასიათება იხილეთ ქვემოთ:

- **ფინანსური რისკი**

ფინანსური რისკები ურთიერთდამოკიდებულია მოცულობის, სტრუქტურისა და აქტივ პასივების ხარისხის ცვლილებაზე და ძირითადად ორიენტირებულია ბანკის სტრატეგიული გეგმების განხორციელების პროცესში, მისი საქმიანობიდან გამოწვეული რისკებზე, ბანკი ამ რისკს განიხილავს როგორც ფინანსური შედეგების მნიშვნელოვან განმსაზღვრელ ფაქტორს. ფინანსური რისკები იყოფა ორ ძირითად მიმართულებად:

- საბაზრო რისკი: ლიკვიდობის, საპროცენტო განაკვეთის, სავალუტო და ფასების ცვლლების რისკებად, თითოეულ კატეგორიას აქვს რამდენიმე ქვეკატეგორია და ბანკის ზომიდან და კომპლექსურობიდან გამომდინარე სრულად ფარავს იმ საბაზრო რისკებს, რომელთაც, შესაძლოა ზეგავლენა იქონიონ მის საქმიანობაზე.
- საკრედიტო რისკი: განისაზღვრება როგორც დეფოლტის რისკი და განიხილება ორ ჭრილში, მსესხებლის საკრედიტო რისკი - რომელიც შესაძლოა დადგეს მსესხებლების გადახდისუნარიანობის დაკარგვით; და კონტრაგენტების საკრედიტო რისკი - რომელიც შესაძლოა დადგეს კონტრაგენტის მიერ ბანკის მიმართ ვალდებულების შესრულების უუნარობის გამო.

- **არაფინანსური რისკი**

არასაფინანსო რისკები არის ის ხარისხობრივი რისკები, რომელთა მიერ გამოწვეული ფინანსური ზარალის მოცულობის განსაზღვრა შეუძლებელია, ამ რისკების მართვას ბანკი ახდენს მუდმივად და რისკის მართვის პროცესი შესაბამისობაშია, როგორც საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნებთან ასევე საერთაშორისო პრაქტიკასთან, ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული რისკის მართვის პროცესი შეესაბამება ბანკის ზომასა და ოპერაციების კომპლექსურობას. არასაფინანსო რისკებში ყველაზე მნიშვნელოვანი კატეგორია არის ოპერაციული რისკი, რომლის მართვის პროცესშიც ხდება შიდა პროცესების, ადამიანური ფაქტორის, საინფორმაციო ტექნოლოგიების, იურიდიული და მარეგულირებელი რისკის იდენტიფიცირება, მონიტორინგი და მართვა. გარდა ზემოთხსენებულისა, ბანკი ასევე აღიარებს და მართავს რეპუტაციის სტრატეგიულ და გარე მოვლენების რისკებს.

- **რისკის მართვის პროცესი**

ბანკი ხელმძღვანელობს სათაო ბანკის მიერ განსაზღვრული რისკის დონის ფარგლებში. სტრატეგიულ დონეზე განსაზღვრული რისკის დონისა და სტრატეგიული ბიზნეს გეგმის შესაბამისად, ბანკს განსაზღვრული აქვს შიდა პროცესები, რომლის მიხედვითაც ხდება რისკების მართვა, ვინაიდან ეს წამოადგენს ბანკის საქმიანობის ფუნდამენტურ ნაწილს და განუყოფელია პროცესების დაგეგმვისაგან. შესაბამისად რისკის მართვა ინტეგრირებულია ბანკის საქმიანობის ყველა დონეზე. ბანკისათვის რისკის მართვის მთავარი ამოცანაა რისკებისა და შემოსავლიანობის ოპტიმალური ერთობლიობის დაგეგმვა, ფინანსური

სიძლიერის გარანტირება და ბიზნესის ზრდის მდგრადი ზრდის მხარდაჭერა. რისკის მართვის პროცესი იყოფა ხუთ ძირითად ეტაპად:

- **იდენტიფიცირება:** რისკების განსაზღვრა ბანკის სტრატეგიიდან გამომდინარე, მათ მიმართ ტოლერანტობის დადგენა და რისკის მფლობელის განსაზღვრა;
- **შეფასება:** პროცესის, ანგარიშგებისა და შეფასების სტანდარტების მეთოდოლოგიის განსაზღვრა;
- **კონტროლი:** ოპერაციებისა და რისკების ლიმიტების დაცვის მონიტორინგი, ზარალის კონტროლი და მისი ადრეულ ეტაპზე შეტყობინება;
- **ანგარიშგება:** რისკის გაწევის შედეგების, სენსიტიურობისა და ძირითადი რისკების ინდიკატორების ინტერპრეტირება და ანგარიშგება;
- **მართვა:** ბანკის რისკების ყველა მიმართულების მიმოხილვა და კონტროლი, რისკის დონისა და შემოსავლიანობის ოპტიმალური ბალანსის პოვნა, რისკის მართვის პრაქტიკის კონტროლი, ბიზნეს გარემოსთან და სტრატეგიულ გეგმებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

- **რისკების მართვის ორგანიზება და სტრუქტურა**

რისკის მართვა დანერგილია ბანკის ყველა დონეზე, პასუხისმგებლობები ამა თუ იმ რისკისათვის გაცნობიერებულია და მისი მართვა ხდება მმართველობის ყველა რგოლში. რისკის მართვის დონეები მოცემულია #1 ცხრილში:

ცხრილი1 - რისკის მართვის დონეები

პირველი დონე არის შემდეგი სტრუქტურული ერთეულების დონე:

- დაკრედიტების ფუნქციონალური ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს დადგენილი საკრედიტოპოლიტიკის ფარგლებში საკრედიტო საქმიანობის წარმოებას;
- სახაზინოოპერაციების მართვის ფუნქციონალური ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სახაზინო ოპერაციების წარმოებას რომლებიც დაკავშირებულია საბაზრო რისკების, მათ შორის ლიკვიდობის, სავალუტო და საპროცენტო რისკებთან;
- საკრედიტო კომიტეტი ძირითადად პასუხისმგებელია კლიენტების ფინანსური მდგომარეობისა და გადახდისუნარიანობის შეფასებაზე, სასესხო გადაწყვეტილებების მიღებასა და სესხების ამოღების პრაქტიკის მიმოხილვაზე. აღსანიშნავია, რომ საკრედიტო დეპარტამენტი წარმოადგეს პირველ და მეორე დონეს ერთდროულად, ვინაიდან იგი დაკომპლექტებულია როგორც ბიზნესის ხაზის წარმომადგენლებით (პირველი დონე), ასევე რისკების და სესხის თანხის ზომიდან გამომდინარე სხვა სტრუქტურების წარმომადგენლებით (მეორე დონე);

მეორე დონე არის შემდეგი სტრუქტურული ერთეულების დონე:

- რისკების მართვის ფუნქციონალური ერთეული, რომელიც პასუხისმგებელია შემაჯამებელ რისკებზე და კურირებს როგორც ფინანსურ ასევე არაფინანსურ რისკებს, აღნიშნულ სტრუქტურულ ერთეულში სხვა რისკებთან ერთად იმართება საკრედიტო, საბაზრო და საოპერაციო რისკები, ხდება მათი მართვა, შეფასება და ბანკის ბიზნეს სტრატეგიასთან შესაბამისობის გაანალიზება;
- ფინანსური მართვის ფუნქციონალური ერთეული, რომელიც ახდენს ფინანსური ოპერაციების დაგეგმვას, ბანკის ლიკვიდობის მართვას და აქტიურად მონაწილეობს აქტივ-პასივების მართვის კომიტეტში;
- შესაბამისობის ფუნქციონალური ერთეული, რომელიც ახდენს AML/CFT და საქართველოს ეროვნული ბანკის სხვა რეგულაციებთან შესამაბისობის უზრუნველყოფას.

რისკის მართვის მესამე დონე უზრუნველყოფს ბანკის მასშტაბური რისკების მართვას და რისკის სტრატეგიის განსაზღვრას. მესამე დონე არის შემდეგი სტრუქტურული ერთეულების დონე:

- შიდა აუდიტის სამსახური, რომელიცახდენს რისკი მართვის პროცესის ადეკვატურობისა და ეფექტურობის შეფასებას და პერიოდულ მოხსენებას აკეთებს ბანკის მმართველობის ზედა რგოლებთან.
- აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი, რომელიც ახორციელებს რისკის მართვას ორგანიზაციის დონეზე, ახდენს ფინანსური რისკების გაანლიზებას, მონაწილეობს ლიმიტების დამტკიცებაში და ბანკის საბალანსო პოზიციების განხილვას ფინანსური წყაროების მოძიების მიზნებისათვის, ასევე ბანკის საპროცნტო განაკვეთების პოლიტიკის მონიტორინგს.
- რისკების მართვის კომიტეტი: ახდენს ბანკის წინაშე არსებული რისკების მონიტორინგს, უზრუნველყოფს რისკის მიმართ ტოლერანტობის დონისა და მათი მართვის შესაბამისობას ბანკის სტრატეგიასთან, აფასებს შიდა კონტროლისა და რისკების მართვის ეფექტურობის შეფასებას.

- დირექტორატი: უზრუნველყოფს მოვალეობების ადეკვატურ გადანაწილებას, ბანკის მიერ აღებული რისკების ერთობლიობის შესაბამისობას სათაო ბანკის მიერ განსაზღვრულ სტრატეგიასთან და უძღვება ბანკის ყოველდღიურ საქმიანობას.
- სათაო ბანკი: განსაზღვრავს ბანკის რისკისა და ბიზნეს სტრატეგიებს, ამტკიცებს რისკების კონტროლის სქემას და მიმოიხილავს ბანკის მუშაობას რისკებისა და ფინანსური შედეგების კუთხით.

რისკის მართვის ჩარჩოს მიმოხილვა

სს „ზირაათ ბანკი საქართველო“ ახდენს რისკების ყოველდღიურ მონიტორინგს და მათ მიტიგაციას, ბანკის წინაშე არსებული რისკები და მათი დონე შესაბამისობაშია მის რისკისა ბიზნეს სტრატეგიებთან. ბანკის რისკის მართვის ჩარჩო შესაბამისობაშია მის კომპლექსურობისა და ზომასთან, ბანკის ბიზნეს სტრატეგია ითვალისწინებს მდგრად ზრდას უახლოესი წლების განმავლობაში, რომელიც ძირითადად განპირობებული უნდა იყოს სასესხო პორტფელის ზრდით, ბანკის მენეჯმენტი აცნობიერებს, რომ აღნიშნული მიზნის მიღწევის პროცესში შესაძლოა ბაკისათვის მატერიალიზდეს რისკები, რომელიც დღესდღეობით რჩება მისი რისკის მართვის ჩარჩოს გარეთ, შესაბმისად ბანკი მზადაა ზრდის პროცესში შეიმუშავოს მეთოდლოგია „ახალი“ რისკების იდენტიფიცირებისა და მართვისათვის. ამ ეტაპზე ზირაათ ბანკი საქართველოს რისკების მართვა გავრცელებული და დანერგილია მმართველობის ყველა რგოლში, განსაზღვრულია კონკრეტული რისკების მფლობელთა პასუხისმგებლობები და უფლებამოსილება, ისევე როგორც რისკის მართვის ზედა რგოლში ანგარიშგების პროცესი.

რისკის აპეტიტი

- **დაინტერესებული მხარეები**

სს „ზირაათ ბანკი საქართველოს“ ბიზნეს სტრატეგია, რომელიც განისაზღვრება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, არის მისი რისკის სტრატეგიისა და რისკის აპეტიტის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი. რისკის აპეტიტის განსაზღვრა ხდება სათაო ბანკის მიერ ბანკის რისკის მართვის ჩარჩოსა და საქართველოში არსებული საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად.

ფილიალის რისკის აპეტიტის შესაბამისად ოპერირებას, ყოველდღიურ ზედამხედველობას უწევს ბანკის დირექტორატი, რომელიც შესაბამისი რისკების მფლობელი ქვედანაყოფებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე აფასებს რამდენად ახლოსაა ბანკი დაწესებულ ლიმიტებთან და ამა თუ იმ მიმართულებით რა დამატებითი მოცულობის რისკის აღებაა შესაძლებელი.

რისკის აპეტიტი არის გზამკვლევი ბანკის ყველა დონის მენეჯერისათვის იმისათვის რათა იმოქმედონ რისკის სტრატეგიის შესაბამისად. რისკის აპეტიტი გამოხატულია ლიმიტებით, რაც საშუალებას იძლევა, გადაწყვეტილების მიღებისას მმართველობის ყოველმა რგოლმა,

წინასწარ გაანალიზოს და შეაფასოს საკუთარი საქმიანობა და ის, თუ რამდენად შესაბამისობაშია კონკრეტული გადაწყვეტილება ბანკის რისკის აღების სურვილთან.

- **რისკის აპეტიტის განმსაზღვრელი ფაქტორები**

როგორც ზემოთ აღინიშნა, ზირაათ ბანკი საქართველოს რისკის აპეტიტის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი არის მისი ბიზნეს სტრატეგია, საიდანაც ასევე გამომდინარეობს ბანკის რისკის სტრატეგია, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს ბანკის რისკის აპეტიტის ერთ-ერთ წყაროს. გარდა ამისა რისკის მადის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება სხვა გარე და შიდა ფაქტორები, მიმდინარე მდგომარეობა და ბანკის სამომავლო მოლოდნიები, ფაქტორები რომელიც მოქმედებს რისკის აპეტიტის განსაზღვრაზე შემდეგია:

- ზირაათ ბანკი საქართველოს მიმდინარე კაპიტალის მდგომარეობა;
- რისკის მიმდინარე პროფილი და მენეჯმენტისათვის დაწესებული მიმდინარე ლიმიტები;
- საქართველოში არსებული მიმდინარე ეკონომიკური მდგომარეობა და ბანკის მოლოდინები/პროგნოზები მასთან მიმართებაში;
- სექტორში არსებული კონკურენტული გარემო და ბანკის მოლოდინი საბანკო სფეროს განვითარებასთან დაკავშირებით;
- ბანკში, წინა პერიოდებში, მომხდარი მოვლენები, რისკები, რომელიც დადგა და მათი მართვის გამოცდილება;
- საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნები;
- საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მოთხოვნილი მინიმალური კოვენანტები;
- საქართველოს ეოვნული ბანკის მიერ მოთხოვნილი შიდა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების პროცესი.

- **რისკის აპეტიტის ძირითადი ელემენტები**

  რისკის აპეტიტის ძირითადი ელემენტებია:

- კაპიტალისა და ფინანსური შედეგების გეგმა, მენჯმენტის კომპენსაციის ჩათვლით;
- თითოეული რისკისათვის დადგენილი მაქსიმალური დონე;
- მთლიანობაში არსებული რისკის ის მაქსიმალური დონე, რომლისათვისაც ბანკი მზად არის აიღოს ფინანსური შედეგების მისაღწევად;
- რისკის მაქსიმალური დონის რაოდენობრივი გამოხატულება;
- რისკის მაქსიმალური დონის ხარისხობრივი გამოხატულება, ისეთი რისკის ჯგუფებისათვის, რომელთა გაზომვა შეუძლებელია რაოდენობრივად;
- თითოეული ბიზნეს მიმართულებისათვის, რისკის ლიმიტების შესაბამისობა მთლიანი ბანკის რისკის აპეტიტთან და სტრატეგიასთან;
- იმ, შესაძლო სამომავლო აქტივობებისა და მოვლენების განხილვა, რომელმაც შესაძლოა ბანკისათვის კონკრეტული რისკები გაზარდოს ისე, რომ მიუახლოვდეს ლიმიტს, რომლიც რისკის აპეტიტით არის გათვალისწინებული.

- **ფუნქციები და პასუხისმგებლობები**

ბანკში რისკის აპეტიტის მართვა ფუნქციონალურად გაყოფილია მმართველობისა და კონტროლის სხვადასხვა დონეებზე, მმართველობის დონეები და მათი პასუხისმგებლობები მოცემულია მიმდინარე მუხლში:

სამეთვალყურეო საბჭო

- ამტკიცებს რისკის აპეტიტს, უზრუნველყოფს, რომ იგი შესაბამისობაში იყოს ბანკის ბიზნეს სტრატეგიასთან და გამომდინარეობდას ბანკის რისკის სტრატეგიიდან;
- დირექტორატს უწესებს ანგარიშგების ვალდებულებას, ბანკის რისკის აპეტიტის ლიმიტების შესრულებასა და მთლიანობაში რისკის აღების დონესთან დაკავშირებით;
- აწესებს ლიმიტებს, რომლის ფარგლებშიც ბანკმა უნდა მიაღწიოს დაწესებულ ფინანსურ მაჩვენებლებს;
- უზრუნველყოფს მმართველი გუნდის შეფასებას, იმასთან დაკავშირებით თუ რამდენად ეფექტურია მათი ყოველდღიური საქმიანობა რისკის მართვის, ფინანსური შედეგების მიღწევის და რისკის აპეტიტით დადგენილი ლიმიტების კუთხით;
- ახდენს რისკის აპეტიტში ცვლილებების შეტანას;

დირექტორატი

- უზრუნველყოფს რისკის აპეტიტის მთლიანობას და მის გათავისებას ბანკის მმართველობის ყველა დონეზე;
- უზრუნველყოფს რისკის აპეტიტის განხორციელებას და გამოყოფს შესაბამის რესურს.
- პასუხისმგებელია რისკის აპეტიტის ბანკში ინტეგრირებაზე, სამეთვალყურეო საბჭოსთან ანგარიშგებაზე და მისი პრაქტიკაში ბიზნეს სტრატეგიასთან შესაბამისობაზე;
- ბანკის რისკის აპეტიტის შესაბამისად, ახდენს კონკრეტული რისკებისა და მათი მფლობელებისათვის ქველიმიტების დაწესებას და ახდენს მათ მონიტორინგს;

რისკების მართვის დეპარტამენტი

- ახდენს რისკის აპეტიტის მხარდაჭერას;
- უზურნველყოფს რისკის დონის მონიტორინგს, მის შესაბამისობას რისკის აპეტიტთან და დირექტორატთან ანგარიშგებას;
- აცნობებს დირექტორატს ან/და რისკის მართვის კომიტეტს რომელიმე რისკის კატეგორიის ლიმიტის დარღვევის ან ლიმიტთან მიახლოების შესახებ;

რისკების მართვისა და IT კომიტეტი

- ზედამხედველობს რისკის დასაშვებ დონეს სხვადასხვა მიმართულებით;
- განიხილავს წინა პერიოდების შედეგებს რისკის აღებისა და მისი მართვის კუთხით, აფასებს რამდენად შესაბამისობაშია ბანკის რისკის მართვა მის რისკის აპეტიტთან და სტრატეგიულ გეგმებთან;
- იღებს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს რისკის თავიდან არიდების მიზნით;

- ახდენს რისკის აპეტიტის შესაბამისობის ანალიზს ბანკის ბიზნეს სტრატეგიასა და რისკის სტრატეგიასთან;

შიდა აუდიტის სამსახური

- რისკის აპეტიტის ჩარჩოს ბანკის დონეზე დანერგვის შეფასება;
- რისკის აპეტიტით განსაზღვრული ლიმიტების შესრულების შემოწმება;
- შიდა კონტროლის გარემოს შემოწმება;
- რისკის აპეტიტის შეფასება;

- **ლიმიტები**

სს ზირაათ ბანკი საქართველოს ლიმიტები განისაზღვრება მისი რისკის აპეტიტის, რისკის სტრატეგიისა და ბიზნეს სტრატეგიის შესაბამისად, ბანკში არსებული ლიმიტები ასევე შესაბამისობაშია საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნებთან და თავმოყრილია ლიმიტების პოლიტიკაში, რომელსაც სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებით ადგენს რისკების მართვისა და IT კომიტეტი და საკრედიტო კომიტეტი. ზირაათ ბანკის რისკის აპეტიტის ლიმიტები, დაფუძნებულია ბანკის შიდა გამოცდილებაზე და რისკის აპეტიტზე.

ლიმიტები მოიცავს როგორც რაოდენობრივ ასევე ხარისხობრივ მაჩვენებლებს:

- კაპიტალის ადექვატურობა
- ლიკვიდობა
- სავალუტო რისკი
- საოპერაციო რისკი
- კიბერუსაფრთხოების რისკი
- დაკავშირებული პირები
- საკრედიტო კონცენტრაცია / მსხვილი რისკები
- ლიმიტები ტრანზაქციებზე - სახაზინო ოპერაციები
- AML რისკები

- **საკრედიტო რისკი**

საკრედიტო რისკი ყველაზე მატერიალური რისკია ბანკისთვის, რაც გამოიხატება კონტრაგენტის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით მიღებულ ზარალში. საკრედიტო რისკი ბანკს შესაძლოა წარმოეშვას კრედიტების გაცემით, სახაზინო საინვესტიციო საქმიანობის შედეგად და სხვა. ბანკს აქვს საკმარისი კაპიტალი, რათა გადაფაროს ამ რისკისაგან გამოწვეული შესაძლო ზარალები და ამასთან, არ დააზიანოს საკუთარი ოპერაციები და იმიჯი.

ამჟამად ბანკისთვის საკრედიტო რისკის გამომწვევი ძირითადი წყაროებია:

- საბალანსო სასესხო პორტფელი
- გარესაბალანსო ელემენტები - გარანტიები

ბოლო პერიოდში სწრაფი ზრდის მიუხედავათ ბანკი ინარჩუნებს კონსერვატიულ მიდგომებს კრედიტების გაცემის დროს, რაც გამოიხატება:

- საკრედიტო კომიტეტის მუშაობით, რომელიც ინდივიდუალურად აფასებს მსესხებლის გადახდისუნარიანობას და ამტკიცებს სესხებს და გარანტიებს სადაც აუცილებელი წესით მოითხოვება წევრთა სრული უმრავლესობის თანხმობა.

- კონსერვატული შიდა საკრედიტო პროდუქტების სტანდარტებით

- მაღალი რისკის მქონე სექტორების და პროდუქტების დაფინანსების შეზღუდვით

- მაღალი ხარისხის მიტიგაცის ელემენტების გამოყენებით როგორებიცაა, უძრავი ქონება და მაღალის რეპუტაციის მქონე ფინანსური ინსტიტუტების გარანტიები

ბანკის საკრედიტო პორტფელი ხასიათდება მაღალი უზრუნველყოფის ხარისხით სადაც უძრავი ქონების წილი დომინანტურია; სესხის უზრუნველყოფა სათანადო წესით დარეგისტრირებული და შეფასებულია ეროვნული ბანკის სტანდარტების დაცვით.

საკრედიტო ზარალების შეფასების კუთხით, ბანკში დანერგილია ფინანსური აქტივების ფასს 9-ის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღრიცხვის მოდელი შესაბამისი პოლიტიკით და მეთოდოლოგიით.

ფასს 9-ის მიხედვით საკრედიტო რისკების შეფასებისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საპროგნოზო ინფორმაციის ანალიზს. კერძოდ, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას გათვალისწინებულია მაკროეკონომიკური და ფინანსური ფაქტორების ანალიზი, მოსალოდნელი ტენდენციები და რისკები, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს საკრედიტო რისკის შეფასების პროცესს.

- ✓ **კონცენტრაციის რისკი**

კონცენტრაციის რისკი გიულისხმობს რისკის პოზიციის მსხვილი კონცენტრაციების შექმნის საშიშროებას როდესაც ერთმა მოვლენამ (ერთი კონტრაგენტის ვალდებულების შეუსრულებლობა ან სირთულეები ერთ სექტორში) შესაძლოა გამოიწვიოს მნიშვნელოვანი მოცულობის ზარალი.

კონცენტრაციის რისკის დათვლა ხდება ორი მიმართულებით, პირველი არის სახელობითი კონცენტრაცია HHI-ს (ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი) დახმარებით, ხოლო მეორე არის

სექტორული კონცენტრაცია, რომელიც ითვლება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით.

- ✓ **კონტრაგენტებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი**

ზირაათ ბანკი საქართველოს ამ ეტაპზე, არ აქვს სავალუტო ან საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული კონტრაქტები, სვოპები და ფორვარდები, შესაბამისად მის ხელთ არსებული ინსტრუმენტები არ შეიცავს კონტრაგენტებთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკს.

- ✓ **სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული საკრედიტორისკი (CICR)**

საკრედიტო რისკის ზოგად დონეზე შესაძლოა დამატებითი წნეხი ქონდეს ისეთი კრედიტების არსებობას როდესაც მსესხებელ სრულად ან ნაწილობრივ არაჰეჯირებულია გაცვლითი კურსის მხრივ. როდესაც სესხი გაცემულია ერთ ვალუტაში ხოლო მსესხებლის შემოსავალი ფორმირებულია სხვა ვალუტაში, რამაც შესაძლოა მსესხებელს დამატებითი წნეხი შეუქმნას რაც სხვა შემთხვევაში არ შეექმნებოდა.

სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული საკრედიტო რისკის იდენტიფიცირებასა და კლასიფიკაციას ბანკი ახდენს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებული, სს „ზირაათ ბანკი საქართველოს“ რისკის პოზიციების იდენტიფიცირებისა და კლასიფიცირების შესაბამისად. შესაბამისად ხდება ასეთი რისკის პოზიციების იდენტიფიცირება და მათი გავლენა კაპიტალზე.

ბანკი სესხის ანალიზის დროს ცდილობს გაანალიზოს და არ გასცეს ისეთი კრედიტები რომლებიც დამატებით გაზრდიან საკრედიტო რისკის დონეს ამისათვის სთავაზობს მომხამრებლებს სესხებს როგორც ადგილობრივ ასევე უცხოურ ვალუტაში.

- **შიდა კაპიტალის ადექვატურობის შეფასების პროცესი (ICAAP)**

ბანკში დანერგილია შიდა კაპიტალის ადექვატურობის შეფასების პროცესი (ICAAP) როგორც კაპიტალის მართვისა და საერთო რისკების მართვის ჩარჩოს მნიშვნელოვანი კომპონენტი. ICAAP-ის მიზანია ბანკის მიერ საკუთარი კაპიტალის საჭიროებების სრულფასოვნად განსაზღვრა და შეფასება მისი რისკების პროფილის, ბიზნეს მოდელისა და სტრატეგიული მიზნების შესაბამისად. აღნიშნული პროცესი აერთიანებს კაპიტალის დაგეგმვასა და რისკების იდენტიფიცირებას, რაც უზრუნველყოფს, რომ ბანკს გააჩნდეს საკმარისი და ხარისხიანი კაპიტალი როგორც მიმდინარე, ისე სტრესულ პირობებში. ICAAP ხელს უწყობს მდგრადობას, პასუხისმგებლიან მმართველობას და რეგულატორულ მოთხოვნებთან შესაბამისობას.

- **საპროცენტო რისკი**

საპროცენტო რისკი გამომდინარეობს საპროცენტო განაკვეთის მიერ მგრძნობიარე აქტივების და ვალდებულებების გადაფასების შედეგად მისაღებ შესაძლო ზარალიდან.

საპროცენტო რისკის მონიტორინგის მიზნებისთვის ბანკის იყენებს აქტივების და ვალდებულებების გადაფასების გეპის ანალიზს. ბანკი რეგულარულად ატარებს საპროცენტო განაკვეთის მიმართ მგრძნობიარობის ანალიზს სტრეს ტესტის ფაგლებში როდესაც გაითვალისწინება მყისიერი განაკვეთების ცვილება. ანალიზდება ეფექტი როგორც წმინდა საპროცენტო შემოსავალზე ასევე გადაფასების ეფექტი კაპიტალზე.

ასევე ბანკს არ გააჩნია სავაჭრო ფასიანი ქაღალდები და არ ეწევა სპეკულაციურ საქმიანობას, შესაბამისად საპროცენტო განაკვეთების ცვლილების შედეგად საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები არ გადაფასდება და ეფექტი მინიმალურია.

- **სავალუტო რისკი**

სავალუტო რისკი გულისხმობს ვალუტის კურსის ცვლილების შედეგად ბანკის აქტივების და ვალდებულებების გადაფასების შედეგად შესაძლო ზარალის მიღების ალბათობას.

სავალუტო რისკმა შეიძლება შეამციროს საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტები, რადგან ბანკის კაპიტალი ადგილობრივ ვალუტაშია წარმოდგენილი, ხოლო მისი აქტივების დიდი ნაწილი დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში. ასეთ შემთხვევაში, ადგილობრივი ვალუტის გაუფასურება გამოიწვევს კაპიტალის ადეკვატურობის მნიშვნელოვან გაუარესებას, რადგან უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი აქტივების ღირებულება მოიმატებს (ლარის გაუფასურების გამო) და, შესაბამისად, ბანკს ექნება უფრო მეტი რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები, ხოლო ლარში დენომინირებული კაპიტალის მოცულობა უცვლელი დარჩება. ბანკის რეგულარულ სტრეს ტესტებში გაითვალისწინება მკვეთრი გაუფასურება ვალუტების და გამოთვლება დასტრესილი კოეფიციენტები.

ბანკი იკავებს შესაბამის კაპიტალის მოცულობას, რათა არ შეექმნას პრობლემა ამ რისკისაგან გამოწვეული შესაძლო ზარალების დაფარვისას, გარდა ამისა, ბანკი ყოველდღიურად აკონტროლებს კრებსითი ღია სავალუტო პოზიციის მაჩვენებელს და არ ეწევა სპეკულაციურ საქმიანობას ღია სავალუტო პოზიციის დაჭერის გზით.

რისკის სტრატეგიიდან და აპეტიტიდან გამომდინარე ბანკის მიზნობრივი სავალუტო პოზიცია არის დახურული პოზიცია, აქედან გამომდინარე სავალუტო რისკის ალბათობა არის დაბალი.

- **ლიკვიდობის რისკი**

ლიკვიდობის რისკი წარმოადგენს ბანკის ვალდებულებების სრულად ან დროულად შეუსრულებლობის გამო შესაძლო ზარალის წარმოქმნის რისკი. ასევე ლიკვიდობის რისკი

განიხილება ბანკის მიერ არასაკმარისი დაფინანსების გამო დაკრედიტების შეფერხებაში, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს თავის მხრივ რეპუტაციული და საკრედიტო რისკები.

ლიკვიდობის რისკის დადგომის დროს ბანკი იძულებული იქნება დაჩქარებული ტემპებით მოიზიდოს სახსრები, რაც თავის მხრივ, გამოიწვევს მიღებული სახსრების მაღალ ხარჯიანობას. აღნიშნული უარყოფითად იმოქმედებს როგორც ბანკის მომგებიანობაზე, ასევე მის რეპუტაციასა და სანდოობის დონეზე.

ლიკვიდობის რისკის მიტიგაცია ხდება ბანკში არსებული პროცედურებით, პოლიტიკებით, ლიმიტებითა და ყოველდღიური მენეჯმენტით, რომელიც შესაბამისობაშია ბანკის რისკის აპეტიტთან, რისკის სტრატეგიასთან და ბიზნეს სტრატეგიასთან. ბანკი ლიკვიდობის რისკს მართავს ყოველდღიურად. მოკლევადიანი ლიკვიდობის რისკის მონიტორიგისთვის გამოიყენება ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის ანგარიშგება ყოველდღიურად ბაზელ 3-ის მოთხოვნებთან შესაბამისობით. ხოლო გრძელვადიანი ლიკვიდობის მონიტორინგის მიზნებისთვის წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი.

ბანკში დანერგილია შიდა ლიკვიდობის ადექვატურობის შეფასების პროცესი (ILAAP) როგორც რისკების მართვის საერთო ჩარჩოს განუყოფელი ნაწილი. ILAAP მნიშვნელოვანი როლს ასრულებს ბანკის ლიკვიდობის უზრუნველყოფაში როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში, სისტემურად ამოიცნობს, ზომავს, მართავს და მონიტორინგს უწევს ლიკვიდობის რისკებს. ის ხელს უწყობს გონივრულ გადაწყვეტილებებს და რეგულატორულ შესაბამისობას, იმით, რომ აერთიანებს ბანკის ლიკვიდობის სტრატეგიას მის რისკებისადმი მიდგომასთან, ბიზნეს მოდელთან და ოპერაციულ გარემოსთან. ILAAP-ის მეშვეობით ბანკი აძლიერებს მდგრადობას და უნარს, ეფექტურად უპასუხოს პოტენციურ ლიკვიდობის დეფიციტებს.

- **საოპერაციო რისკი**

საოპერაციო რისკი, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რისკია, რომელსაც ზირაათ ბანკი საქართველო მიიჩნევს მატერიალურად. საოპერაციო რისკი წარმოადგენს დანაკარგის რისკს, რომელიც გამოწვეულია გაუმართავი ან ჩავარდნილი შიდა პროცესებით, ადამიანური რესურსებით და სისტემებით, ან გარე ფაქტორებით. ეს განმარტება მოიცავს თაღლითობის რისკს,საინფორმაციო ტექნოლოგიების და ინფორმაციული უსაფრთხოების რისკებს, სამართლებრივ რისკს, რეპუტაციულ რისკსა და აუთსორსინგის რისკს.

განსაკუთრებით ბანკის ზომის ზრდის და ოპერაციების სპექტრის გაფართოების პირობებში საოეპრაციო რისკის მართვა კრიტიკული ხდება.

საოპერაციო რისკის შეიძლება იყოს როგორც ფულადი ისე არაფულადიც.

მისი იდენტიფიცირების, გაზომვისა და მართვის მეთოდოლოგია გაწერილია ბანკის რისკის მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტებში.

საოპერაციო რისკის მართვის კუთხით ბანკი მიმართავს:

- ინციდენტების აღრიცხვა და ანგარშგება
- რისკისა და კონტროლის თვითშეფასებებს
- რეგულარულ საინფორმაციო სისტემების აუდიტს და შეღწევადობის ტესტირებას
- აუთსორსინგული ოპერაციების რისკების შეფასება
- ბიზნეს უწყვეტობის გეგმა და შესაბამისი სტრესს-ტესტირება

ზემოაღნიშნული პროცესების შედეგების ანალიზი სრულდება იმ მიზნით, რომ წარმოდგენა შეიქმნას ბანკში არსებული საოპერაციო რისკების პროფილის შესახებ ბანკის რისკ აპეტიტთან მიმართებაში. ანალიზის შედეგად ხორცილდება საოპერაციო რისკების მიტიგაცია ან მიღება (საჭიროების შემთხვევაში) რათა შემდგომში გათვალისწინებულ იქნას ბანკის ბიზნეს საქმიანობაში და სტრატეგიაში.

ბანკის საოპერაციო რისკის მხრივ ხდება რისკის პოზიციების კალკულაცია გამოთვლა საბაზისო ინდიკატორის მეთოდით რაც გადაითარგმნება დამატებით კაპიტალის ბუფერში. ანიშნული მეთოდოლოგია აღწერილია „კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური მოთხოვნების შესახებ დებულებაში“

- **ქვეყნის რისკი**

ზირაათ ბანკი საქართველოს საკუთარი საქმიანობის მნიშვნელოვან ნაწილს უკავშირებს თურქეთის მოქალაქეებს და თურქეთის სახელმწიფოს იურისდიქციაში დაფუძნებულ იურიდიულ პირებს ან/და ისეთ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს რომელიც ბიზნეს საქმიანობას ეწევიან თურქეთის ტერიტორიაზე ან/და იურისდიქციაში. ბანკის ფორმატი თავისთავად შეიცავს ქვეყნის რისკს, ვინაიდან იგი არის თურქული ბანკის შვილობილი კომპანია საქართველოში. თურქეთში პოლიტიკური ვითარების დაძაბვამ, რომელმაც შეიძლება ზეგავლენა იქონიოს ეკონომიკურ ვითარებაზე, საქართველოსა და თურქეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების გაუარესებამ, საბაჟო განაკვეთების ზრდამ ან კვოტების შემოღებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს ბანკის კლიენტების ფინანსურ მდგომარეობაზე, რაც შესაბამისად, ზეგავლენას მოახდენს ბანკის მომგებიანობაზეც. ვინაიდან აღნიშნული რისკის დადგომის ალბათობა ძალიან მცირეა, ხოლო მისი ზუსტი ან მიახლოებითი შედეგების გამოთვლა შეუძლებელი, ზირაათ ბანკი საქართველო ამ რისკისაგან გამოწვეული შესაძლო ზარალის გადასაფარად დამატებით დაიკავებს კაპიტალის ბუფერს.

სტრეს-ტესტირება

ბანკი მინიმუმ წელიწადში ერთხელ ახორციელებს სტრეს-ტესტს და აანალიზებს მიღებულ შედეგებს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული სტრეს-ტესტების მეთუდური სახელმძღვანელოს მიხედვით. სტრეს-ტესტის შედეგების შედეგად განისაზღვრება სტრეს-ტესტის ბუფერი, რომელიც პილარ 2 ჩარჩოს ერთ-ერთ მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომლის მიზანია სტრეს-სცენარებისა და მაკროეკონომიკური რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის უზრუნველყოფა.

ძირითად სცენარი და დაშვებები: შოკის გამო ხდება გლობალურად ეკონომიკური აქტივობის შენელება. ჩვენი რეგიონის ქვეყნებში რეცესიაა. პარალელურად, მყარდება აშშ დოლარი და რისკის პრემიის ზრდის გამო იზრდება საპროცენტო განაკვეთები.

სტრესის ეფექტი გამოითვლება როგორც გაზრდილი საკრედიტო რისკის მხრივ ასევე, საპროცენტო და მომგებიანობის რისკების მხრივ.

ასევე შემუშავებულია და ხორციელდება ბიზნეს უწყვეტობის ტესტირების ყოველწლიური გეგმა ეროვნული ბანკის საოპერაციო რისკების მართვის დებულების შესაბამისად.

	პილარ 3-ის კვარტალური ანგარიშგება	
1	ბანკის სრული დასახელება	სს ზირაათ ბანკი საქართველო
2	ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე	იუქსელ ჯესურ
3	ბანკის გენერალური დირექტორი	თურგუთ გულჯიჰან
4	ბანკის ვებ-გვერდი	www.ziraatbank.ge

ბანკის დირექტორატი ადასტურებს მოცემულ პილარ 3-ის ანგარიშგებაში ასახული ყველა მონაცემისა და ინფორმაციის უტყუარობასა და სიზუსტეს. ანგარიშგება მომზადებულია სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებული შიდა კონტროლის პროცესების სრული დაცვით, წინამდებარე ანგარიშგება აკმაყოფილებს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის აპრილის N92/04 ბრძანებით დამტკიცებული "კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის" მოთხოვნებსა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ სხვა წესებსა და ნორმებს.

ცხრილი N	სარჩევი
1	ძირითადი მაჩვენებლები
2	საბალანსო უწყისი
3	მოგება-ზარალის ანგარიშგება
4	ბალანსგარეშე ანგარიშების უწყისი
5	რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები
6	ინფორმაცია ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატის და აქციონერთა შესახებ
7	აქტივებსა და საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვას დაქვემდებარებულ საბალანსო ელემენტებს შორის კავშირები
8	საბალანსო ელემენტების ღირებულებასა და საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვას დაქვემდებარებულ რისკის პოზიციებს შორის განსხვავებები
9	საზედამხედველო კაპიტალი
9.1	კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნები
9.2	დამვებული ვალდებულებებისა და კაპიტალის ინსტრუმენტების მინიმალური მოთხოვნასთან (MREL) დაკავშირებული შემაჯამებელი ინფორმაცია
9.3	MREL-ის კომპონენტების ვადიანობისა და მარეგულირებელი კანონმდებლობის მიხედვით დეტალიზაცია
10	საბალანსო უწყისისა და საზედამხედველო კაპიტალის ელემენტებს შორის კავშირები
11	საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები
12	საკრედიტო რისკის მიტიგაცია
13	სტანდარტიზებული მიდგომა - საკრედიტო რისკის მიტიგაციის ეფექტი
14	ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი
15	კონტრაგენტთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები
15.1	ლევერიჯის კოეფიციენტი
15.2	საკრედიტო გადაფასების კორექტირება
16	წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი
17	რისკის პოზიციის ღირებულება ნარჩენი ვადიანობის და რისკის კლასების მიხედვით
18	აქტივების, აქტივებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის და ჩამოწერის განაწილება რისკის კლასების მიხედვით
19	აქტივების, აქტივებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის და ჩამოწერის განაწილება დაფარვის წყაროს სექტორების მიხედვით
20	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილება სესხებზე და კორპორატიულ სავალო ფასიან ქაღალდებზე
21	უმოქმედო სესხების ცვლილება
22	სესხების, სავალო ფასიანი ქაღალდების და გარესაბალანსო ვალდებულებების განაწილება, საკრედიტო რისკის კატეგორიის, ვადაგადაცილების და მსესხებლის ტიპის მიხედვით
23	სესხების, უზრუნველყოფის კოეფიციენტის მიხედვით განაწილებული სესხების, სესხებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის, სესხებზე უზრუნველყოფის ღირებულების და გარანტიებით უზრუნველყოფილი სესხების განაწილება საკრედიტო რისკის კატეგორიისა და ვადაგადაცილების მიხედვით
24	სესხების და სესხებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაწილება, დაფარვის წყაროს სექტორების და საკრედიტო რისკის კატეგორიის მიხედვით
25	სესხების, კორპორატიული სავალო ფასიანი ქაღალდების და გარესაბალანსო ვალდებულებების განაწილება უზრუნველყოფების მიხედვით
26	ზოგადი და ხარისხობრივი ინფორმაცია სავალო პროდუქტებზე

ბანკი: სს ზირაათ ბანკი საქართველო
თარიღი: 31-12-2025

ცხრილი 1	ძირითადი მაჩვენებლები		ფასს-ის საფუძელზე დაანგარიშებული რიცხვები			
N		4Q-2025	3Q-2025	2Q-2025	1Q-2025	4Q-2024
	საზედამხედველო კაპიტალი (მოცულობა, ლარი)					
	ბაზელ III-ზე დაფუძნებული ჩარჩოს მიხედვით					
1	ძირითადი პირველადი კაპიტალი	88,054,221	85,591,701	83,737,762	82,711,736	80,853,343
2	პირველადი კაპიტალი	88,054,221	85,591,701	83,737,762	82,711,736	80,853,343
3	საზედამხედველო კაპიტალი	88,054,221	85,591,701	83,737,762	82,711,736	80,853,343
4	ძირითადი პირველადი კაპიტალის ჯამური მოთხოვნა	54,983,030	51,909,667	47,685,130	33,944,594	32,746,909
5	პირველადი კაპიტალის ჯამური მოთხოვნა	67,831,712	64,055,813	58,411,153	41,407,832	40,036,525
6	საზედამხედველო კაპიტალის ჯამური მოთხოვნა	84,844,672	80,138,394	72,622,679	51,301,458	49,700,251
	რისკის მიხედვით შეწონილი მთლიანი რისკის პოზიციები (მოცულობა, ლარი)					
7	რისკის მიხედვით შეწონილი მთლიანი რისკის პოზიციები (ბაზელ III-ზე დაფუძნებული ჩარჩოს მიხედვით)	405,842,589	383,076,514	373,680,976	279,589,304	274,080,671
	კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები (%)					
	ბაზელ III-ზე დაფუძნებული ჩარჩოს მიხედვით					
8	ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	21.70%	22.34%	22.41%	29.58%	29.50%
9	პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	21.70%	22.34%	22.41%	29.58%	29.50%
10	საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	21.70%	22.34%	22.41%	29.58%	29.50%
11	ძირითადი პირველადი კაპიტალის ჯამური მოთხოვნა	13.55%	13.55%	12.76%	12.14%	11.95%
12	პირველადი კაპიტალის ჯამური მოთხოვნა	16.71%	16.72%	15.63%	14.81%	14.61%
13	საზედამხედველო კაპიტალის ჯამური მოთხოვნა	20.91%	20.92%	19.43%	18.35%	18.13%
